პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 1949 წ. № 188 (8491). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
შევაიარაღოთ ახალგაზრდობა მარქსისტულ-ლენინური თეორიით — „პრავდის“ 20-IX მოწინავე (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება — მასობრივ-პოლიტიკური აუზმაობა მეცხოველეობის ფერმებში (მე-2 გვერდი).
ახალმშენებლობათა მოწინავე ადამიანები (მე-3 გვერდი).
პასუხი შეკითხვაზე (მე-3 გვერდი).
უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამოზიარეთა სასამართლო პროცესი (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობაში

საქართველოს სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებით ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. კოლმეურნეობები მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად პირნათლად ასრულებენ ყველა ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. წარმატებით სრულდება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმა. საქართველომ გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ხეხილის ბაღებისა და ვენახების მოვლა-დამუშავება. სერიოზული მიღწევებია მოპოვებული მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი „შემოდგომა-ზამთრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესახებ“, ზემოხსენებულ მიღწევებთან ერთად აღნიშნა ზოგიერთ რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლისა და დამუშავების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

როგორია ეს ნაკლოვანებანი? ნელი ტემპით მიმდინარეობს ნათესბალახიანი თესლბრუნვის ათვისება, რაც საფრთხეს უქმნის მოსავლიანობის შემდგომ ამაღლებას. წულუკიძის, ხობის, წყალტუბოს, ჩხოროწყუსა და ლანჩხუთის რაიონებში ჩაის ცალკეული ნაკვეთები მოუვლელია. ზოგან გაჭიანურდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება და ლეწვა, რასაც შედეგად მოჰყვა პურის დამზადების არასაკმაო ტემპი. გარდაბნის, თელავის, გურჯაანის, მარნეულის, ასპინძის, კასპის, ქარელის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები აჭიანურებენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის შესრულებას. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა და მზრალად ხვნა, მზრალად ხვნაში ჩამორჩნენ მცხეთის, სიღნაღის, მარნეულის, საგარეჯოს, ბოლნისის, თეთრი წყაროს, კასპის და ბორჯომის რაიონების კოლმეურნეობები. არც სათესლე მასალის გამოყოფისა და მომზადების მხრივ არის ყველაფერი რიგზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულების მხრივ. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ მეცხოველეობის განვითარების საქმის შეუფასებლობის შედეგად პირუტყვის სულადობა მცირდება ქარელის, ახმეტის, გარდაბნის, საგარეჯოს, ჯავისა და ზნაურის რაიონებში. მეცხოველეობის განვითარების გეგმა, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდისა, არადამაკმაყოფილებლად სრულდება ლანჩხუთის, ყვარლის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ზესტაფონის, ჭიათურისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დაუსახა კონკრეტული პროგრამა ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს საშემოდგომო ხვნა-თესვა, სერიოზული ყურადღება მიექცეს ნიადაგის საუკეთესოდ მომზადებას, უახლოეს დღეებში დამთავრდეს სათესლე მასალის გამოყოფა, გაწმენდა და სათეს კონდიციამდე აყვანა, ფართოდ დაინერგოს მწკრივად თესვა, რაც მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მტკიცედ უნდა დავიცვათ თვითეული რაიონისა და კოლმეურნეობისათვის დაწესებული თესვის აგროტექნიკური ვადები.

ბევრი მუშაობაა საჭირო თესლბრუნვის განუხრელად გასატარებლად. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიიღონ ზომები ნათესბალახიანი თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების მიმდინარე წლის გეგმის აუცილებლად შესასრულებლად.

მტს-ების მუშაკთა საბრძოლო ამოცანად დასახულია სატრაქტორო პარკის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება და ამ წლის ბოლომდე თვითეულ 15-ძალიან ტრაქტორზე საშუალოდ სულ მცირე 300 ჰექტარის გაძომუშავება.

ჩაის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია ამოცანა წელს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს სულ ძცირე 5.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. საჭიროა გავაძლიეროთ ჩაის ფოთლის კრეფა. შრომის ნაყოფიერების გადიდებას დიდად შეუწყობს ხელს თვითეული კოლმეურნეობის, ბრიგადისა და რგოლისათვის, თვითეული მკრეფავისათვის ჩაის კრეფის ყოველდღიური დავალების დაწესება. კრეფის დამთავრებისთანავე მეჩაიეები უნდა შეუდგნენ შემოდგომა-ზამთრის სამუშაოებს, უზრუნველყონ ნიადაგის საზამთრო დაბარვა ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების შეტანით, სადრენაჟო ქსელის რემონტი და გაწმენდა, ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობის გაშენება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების დაცვასა და მოვლას.

წელს სიმინდის დიდი მოსავალია. ამჟამად საჭიროა მისი შერჩევით აღება, გაშრობა, სახელმწიფოსათვის დროულად ჩაბარება. აუცილებელია პურეულის აღებისა და გალეწვის სწრაფად დამთავრება. სოფლის ყველა მუშაკის ღირსების საქმეა ორგანიზებულად ჩაატარონ მარცვლეულის დამზადება, მთელი ძალები დარაზმონ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

თამბაქოს ფოთოლი ბლომად არის შემოსული. საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობას მიეცეს თამბაქოს შეტეხის დამატებითი გეგმა ზონარმეტრობით. არ დავტოვოთ შეუტეხელი არც ერთი ფოთოლი. თუ ჩვენი მეთამბაქოენი მთელ მოსავალს უდანაკარგოდ აიღებენ, მათ თამამად შეუძლიათ სამშობლოს მისცენ 18.000 ტონა თამბაქო, რითაც გადავაჭარბებთ თამბაქოს დამზადების ომამდელ დონეს.

ყურძნის წლევანდელი უხვი მოსავალი უდანაკარგოდ უნდა ავიღოთ და გადავამუშაოთ. საჭიროა ყურძნის კრეფა დაიწყოს მისი სრული ტექნიკური სიმწიფის პერიოდში. საქართველოს სამტრესტისა და შამპანური ღვინოების კომბინატის მუშაკთა მოვალეობაა სასწრაფო ზომები მიიღონ დანაკლისი ტარამასალის შესაძენად.

საჭიროა მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ციტრუსოვანთა სანერგეები. 10 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს ნერგების ფარდულებში შენახვა და მეტი ყურადღება მიექცეს ციტრუსების ყინვისაგან დაცვას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა მეცხოველეობაში არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორების საჭიროება. მეცხოველეობის მუშაკებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ წელს თვითეულ კოლმეურნეობაში მოეწყოს ოთხი ფერმა, რომ მეცხოველეობის ფერმები მომზადებული შეხვდნენ ზამთარს.

პლენუმზე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის სიტყვაში დაგვისახა კონკრეტული ამოცანები მოსავლის უდანაკარგოდ აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა წარმატებით ჩატარების, მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ბოლშევიკურად განახორციელონ პლენუმის გადაწყვეტილებანი. ამისათვის აუცილებელია გავაძლიეროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში, მეცხოველეობის ფერმებში, საზამთრო საძოვრებზე, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში. თვითეული კოლმეურნე, მეცხოველეობის თვითეული მუშაკი უნდა იყოს იმ ამოცანების კურსში, რომლებიც დაგვისახეს ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, დიდმა სტალინმა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა შრომითს აღმავლობას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ვიყოთ იმ მზრუნველობის ღირსი, რომელსაც ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი იჩენენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და ხალხთა ბრძენი ბელადი დიდი სტალინი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მოგებათა მეოთხე ჯირაჟი

სამარყანდი. 19 სექტემბერი. (საკ. დეს.). გუშინ აქ შედგა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მოგებათა მეოთხე ტირაჟი. 50 ათასი მანეთი მოგება ხვდა 37691 სერიის № 17 ობლიგაციას. 25 ათასი მანეთი მოიგეს 25134 სერიის № 40 და 38311 სერიის № 24 ობლიგაციებმა (თვითეულმა).

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

დროშები და პრემიები საგზაო მშენებლობაში დაწინაურებულებს

რესპუბლიკურმა ჟიურიმ განიხილა რესპუბლიკური და რაიონული გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების 1949 წლის მეორე კვარტალის შედეგები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია 7.500 მანეთის რაოდენობით თვითეულს მიაკუთვნა: მე-9 (ახალქალაქის) საგზაო-საექსპლოატაციო უბანს (უბნის უფროსი ამხ. ასტვაცატუროვი) და თბილისის რაიონს (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. ლომიძე).

ჟიურიმ აღნიშნა აგრეთვე ახალქალაქის, წითელწყაროს, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ყაზბეგის, სიღნაღისა და ზნაურის რაიაღმასკომების საგზაო განყოფილებათა კარგი მუშაობა.

პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა 1949 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას პირველი ადგილი მიანიჭა და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება უკვე მეხუთეჯერ იჭერს პირველ ადგილს მოკავშირე რესპუბლიკათა საზოგადოებებს შორის.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). სოფელ ნამახვანში, მდინარე საკალმახეზე შენდება საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური, რომელიც წელსვე უნდა დამთავრდეს. მშენებლობაში აქტიურ შრომითს მონაწილეობას იღებს ამ სოფლის კოლმეურნეობა „წინსვლა“.

ენყობა ზოოვეტკუნქტი და საინკუბაციო სადგური

სტალინირი. (საკ. კორ.). წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტ ცხვარს მიერეკებიან ოლქის კოლმეურნეობები ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე. მეცხვარეობის ფერმების ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესების მიზნით ყიზლარში ეწყობა ვეტპუნქტი, რომელიც ნაყოფიერ დახმარებას გაუწევს ფერმის მუშაკებს.

საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა ითვალისწინებს მეფრინველეობის სწრაფ განვითარებას. ამ მიზნით ქ. სტალინირში ეწყობა საინკუბატორო სადგური, რომელიც ყოველწლიურად ასიათას წიწილას მოგვცემს.

სამშობიარო სახლი რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით სტახანოველთა ქუჩაზე გაიხსნა ახალი სამშობიარო სახლი. სახლს აქვს 20 საწოლი. იგი უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით და მედიკამენტებით.



თბილისის საელმავლო დეპოს აწევითი შეკეთების საამქროს სტახანოველი ზეინკლები ვ. სვანიშვილი და გ. ლაბაძე, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გამომუშავების დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

ფოტო. რ. აკოფოვისა

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ჯექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების გაჯარებამ უზრუნველყო წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის ბერიას სახელობის მაღაროში გეგმას ვერ ასრულებდა. მაღაროში დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება. არც პროდუქციის ხარისხი იყო დამაკმაყოფილებელი. დაგროვების მაგიერ ხდებოდა თანხების გადახარჯვა.

მას შემდეგ, რაც მაღაროში მთელი რიგი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი განახორციელეს, მდგომარეობა გამოსწორდა. ამჟამად ეს მაღარო მოწინავეა ჭიათურაში. აქ 14 სექტემბრისათვის შეასრულეს ცხრა თვის დავალება, გაიზარდა პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვება, 17 პროცენტით გადიდდა მაღაროს სადღეღამისო წარმადობა, მარტო ივლის-აგვისტოში 488.000 მანეთი დაზოგეს.

რა გზით მიაღწია მაღაროს კოლექტივმა ამ წარმატებას? უბნის უფროსის ალ. ხვედელიძის წინადადებით მეორე უბანში მოეწყო ასაკეცები, შემოღებულ იქნა მექანიზებული ზიდვა, რითაც დაჩქარდა ვაგონების მიმოქცევა და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ამის შედეგად უბნის სადღეღამისო წარმადობა 50 პროცენტით გადიდდა.

მესამე უბნის უფროსის ს. შარიქაძის თაოსნობით სავენტილაციო გვირაბი გამოყენებულ იქნა ცარიელი ვაგონების სამძორაოდ. ამას ზიდვის მექანიზაციაც დაემატა და უბნის სადღეღამისო წარმადობა 80 ტონით გადიდდა.

მეხუთე უბანში შესწავლილ იქნა ნახევრად დამუშავებული ველი. იქ აღმოჩნდა ნედლეული პეროქსიდისათვის. მის გადმოსაზიდად მოეწყო საჰაერო გზა და ახლა მარგანეცის გამაუხვებელი მეხუთე ფაბრიკა პეროქსიდს გვაძლევს.

სერიოზული ღონისძიებანი გატარდა მადნის გამაუხვებელ ფაბრიკაში, რომელსაც ინჟინერი ბ. ჩხიკვაძე ხელმძღვანელობს.

ყველა უბანში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წარმოების კულტურის ამაღლებას. ამ ღონისძიებათა ძედეგად აქ ახლა ყველა უბანი ასრულებს დავალებას.

ბერიას სახელობის მაღაროს საოქტომბრო შეჯიბრებაშია ჩაბმული ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივთან. ორივე მაღაროს კოლექტივი იბრძვის შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ბათუმელ ნავთგადამამუშავებელთა პირობა

ბათუმი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ბათუმის ნავთგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად ჩაება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა წლიური გეგმის 5 დეკემბრისათვის შესრულება, საერთო პროდუქციის გამოშვების 1950 წლის დონის მიმდინარე წელს მიღწევა.

განვლილი რვა თვის მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ ქარხნის კოლექტივი წარმატებით გაანაღდებს ნაკისრ ვალდებულებას. საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა ქარხანამ 104,8, ხოლო აგვისტოსი — 113,9 პროცენტით შეასრულა. პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შემცირებულია 2,1 პროცენტით, საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებით განთავისუფლებულია 2.400 ათასი მანეთი, დაზოგილია 311 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 3.472 ტონა სათბობი.

ქარხანაში ჩამოყალიბებულია პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის მებრძოლი 46 ბრიგადა. ქარხნის 175 მოწინავე სტახანოველმა უკვე შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა. სტახანოვური შრომის ავანგარდში არიან კომუნისტები ჩიგოგიძე, კუზმინი, გრიგოლავა, ლომთათიძე, შამათავა და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ და მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

ფართოდ არის გაჩაღებული საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობა. მარტო უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში მუშებისა და სპეციალისტებისაგან შემოტანილია 130 რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც მიმართულია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისაკენ.

ორი ახალი კლუბი

თბილისის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს საკოლმეურნეო კლუბების მშენებლობა.

სოფელ მარტყოფში კლუბისათვის შენდება ორსართულიანი შენობა. კლუბს, გარდა მაყურებელთა დარბაზისა, რომელიც გათვალისწინებულია 400 კაცისათვის, ექნება კეთილმოწყობილი ფოიე, იარუსი, ლოჟები, კინოდანადგარი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო და ოთახები წრეობრივი მუშაობისათვის.

მშენებლობა დაჯდება 1.200 ათასი მანეთი. ამ თანხიდან უკვე დახარჯულია 400 ათასი მანეთი. მშენებლობაში განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას იღებენ სტალინის, ჩარკვიანის და სტურუას სახელობის კოლმეურნეობათა წევრები. მშენებლობა, რომელიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, დამთავრდება მიმდინარე წლის ბოლოს.

დიღმის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები ამთავრებენ სასოფლო კლუბის მშენებლობას. მშენებლობაზე დაიხარჯება 60 ათასი მანეთი. ამჟამად მიმდინარეობს კლუბის კეთილმოწყობა. კლუბის საზეიმო გახსნა მოხდება ოქტომბრის დღესასწაულისათვის. („კომ.“ კორ.).

შიდაში სკოლას აშენებენ

ყვარელი. (საკ. კორ.). შილდის საშუალო სკოლაში (დირექტორი დავით კომლაძე) 1.075 ბავშვი სწავლობს. აქ 31 კლასია და 53 მასწავლებელი მუშაობს. წელს სკოლაში მოეწყო ქიმიის და ფიზიკის კაბინეტები, რომლისთვისაც შეძენილია 6.000 მანეთის ხელსაწყოები.

სკოლის ახლანდელი შენობა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ეს გაითვალისწინეს შილდის კოლმეურნეობებმა და დაიწყეს 16-ოთახიანი სკოლის შენობის აგება. სკოლის მშენებლობა მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის დამთავრდება.

სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლი

ზემო სვანეთი. (საკ. კორ.). წარმატებით მუშაობს ზემო სვანეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი პლატონ დიდვანი). უკანასკნელ ხანებში ანსამბლის რეპერტუარი მნიშვნელოვნად გამდიდრდა და საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სიმღერებსა და ცეკვებს მოიცავს.

განსაკუთრებით კარგად ასრულებს ანსამბლი სიმღერებს სტალინისა და ბერიაზე, სიმღერას საბჭოთა კავშირის გმირ იაროსლავ იოსელიანზე, საქართველოს სსრ ჰიმნს და აფხაზურ, აჭარულ და ოსურ ცეკვებს.

მომღერლებიდან გამოირჩევიან მადლენა ჯაფარიძე, ვალიკო ფირცხელიანი, მაჰარბი გურგვლიანი, ალექსი და აგრეტი ფილფანები, კონსტანტინე გვეჩიანი და სხვები. ანსამბლში 30 კაცია.

წელს ანსამბლმა სიმღერებისა და ცეკვის 18 საღამო-კონცერტი მოაწყო. საღამოები გაიმართა მესტიაში, ხაიში, ჭუბერში, მულახში, ცხუმარში, ბეჩოში, იფარში.

სოციალისტური შრომის გმირები

ჟ. ი. კილაძე

ლანჩხუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.031 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ე. ძ. კასიტერიდი

ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.215 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

მ. ო. ცუცქირიძე

ორჯონიკიძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 86 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ზ. ტ. ბაჯელიძე

მახარაძის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.850 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა** და **ციტრუსოვანთა ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მესერების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები, **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

157. **დუმბაძე** კაკალა მირიანის ასული — მახარაძის რაიონის შემოქმედის სასოფლო საბჭოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

158. **დუმბაძე** ნესტორ დავითის-ძე — მახარაძის რაიონის შემოქმედის სასოფლო საბჭოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

159. **ევგენიძე** ლუბა იაკინთეს ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

160. **ელენიდი** არისტიდ ნიკოლოზის-ძე — ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

161. **ესაძე** მარუსია მოსეს ასული — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი შრომის“ მერგოლური.

162. **ესაძე** თენგიზი დურსუნის ასული — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

163. **ეფრემიდი** მარიამ ნიკოლოზის ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

164. **ეფრემიდი** ივანე გიორგის-ძე — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

165. **ეფრემიდი** კერეკინა კირიაკის ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

166. **ზოიძე** ვლადიმერ მელიტონის-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

167. **ზოიძე** ვერა დიმიტრის ასული — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

168. **ზაქარიაძე** თუნთულ ასლანის ასული — ქობულეთის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

169. **ზახაროვი** სიმონ იოსების-ძე — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

170. **იმედაშვილი** ალექსანდრე ქაიხოსროს-ძე — მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი.

171. **ინწკირველი** ელენე სილოვანის ასული — მახარაძის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

172. **ინწკირველი** სონია თევდორეს ასული — მახარაძის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

173. **იშხანიდი** პოლიხრონ პავლეს-ძე — ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

174. **კაიტალიდი** ოლღა ხარალამპეს ასული — ქობულეთის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

175. **კაკაბაძე** გულიკო ხულუსის ასული — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

176. **კაკაბაძე** სიადეთ მუსტაფას ასული — ბათუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

177. **კაკაბაძე** ფატი ხუსეინის ასული — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

178. **კაკულია** ელპიტე თომას ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნარის“ მერგოლური.

179. **ყალიჩავა** დონა იოსების ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის“ წევრი.

180. **ყალიჩავა** რამინ ივანეს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის“ ბრიგადირი.

181. **ქანთარია** ოლღა ესტატეს ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

182. **კაპასაკალიდი** სოფიო კონსტანტინეს ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

183. **კაპასაკალიდი** მაგდალინა ივანეს ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

184. **კარაბაშიდი** კირიაკი აბრამის ასული — ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

185. **ქარჩავა** ბარბარე ელიზბარის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის“ წევრი.

186. **ქარჩავა** ვალენტინა ზოსიმეს ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის“ წევრი.

187. **ქარჩავა** ეთერ იაკობის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის“ წევრი.

188. **ქათამიძე** პელაგია სოლომონის ასული — მახარაძის რაიონის კონჭკათის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

189. **ქათამაძე** რაბია მემედის ასული — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187.

პარტიული ცხოვრება

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მეცხოველეობის ფერმებში

მეცხოველეობა თიანეთის რაიონის სოფელ გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე დ. მხეიძე) და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი შ. ქერაული) ენერგიულად მუშაობენ მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. სამწლიანი გეგმის პირველი — 1949 წლის სახელმწიფო დავალება, სულადობის მიხედვით, აქ ორივე ფერმაში გადაჭარბებით აქვთ შესრულებული. მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმაში 860 სულის ნაცვლად 891 სული ჰყავთ, ხოლო წვრილფეხა საქონლის ფერმაში ნავარაუდევი 6.800 სული ცხვრისა და თხის ნაცვლად 1 აგვისტოსათვის ჰყავდათ 8.071 სული. შესრულებულია ნამატის მიღების გეგმაც.

გუდანელთა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იკვლივის მთაზეა. აქ აგიტატორად მუშაობს პარტიის წევრი პავლე წიკლაური, რომელსაც კარგად ესმის თავისი მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანა. აგიტატორი უნარიანად არჩევს სასაუბრო თემებს. მას ჩატარებული აქვს საუბრები პირუტყვის საკვები ბაზისა და კარგი სადგომების მნიშვნელობაზე, პირუტყვის აღრიცხვაზე, მოსავლის აღების მდგომარეობაზე, სამგორის მშენებლობაზე, მეოთხე ხუთწლედის პირმშოზე—რუსთავზე, აწყობს საუბრებს აგრეთვე მიმდინარე პოლიტიკის, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

აგიტატორის ინიციატივით ფერმაში მომუშავე კოლმეურნეთა შორის გამოლილია ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრება. პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის, სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და ფერმაში სანიმუშო წესრიგის დამყარების მიზნით ამ ფერმის მუშაკებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავთ სოფელ მაგრანეთის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის კოლექტივი. აგიტატორის ხელმძღვანელობით ფერმაში გამოდის კედლის გაზეთი, რომელიც კარგად ასახავს მოწინავე მწველავებისა და მომვლელების მუშაობის გამოცდილებას. ფერმაში შექმნილია მოძრავი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს აუცილებელი წიგნები და ბროშურები, მთავრობის დადგენილებანი მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე. ბიბლიოთეკა იღებს გაზეთ „კომუნისტს“ და ადგილობრივ რაიონულ გაზეთს „კოლექტიური მესაქონლეობას“. ფერმის მუშაკებისათვის ხშირად ეწყობა თვითმოქმედი მხატვრული წრეების საღამოები.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებამ ფერმის მუშაკებს შორის განამტკიცა დისციპლინა, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება. შრომაში მისაბაძ მაგალითებს იძლევიან პარტიის წევრები მწველავები სონა და მარიამ ბურდულები და კომკავშირელი სონა ქერაული. ფერმას კარგი მაჩვენებელი აქვს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების საქმეშიც. 1949 წელს გეგმით ჩასაბარებელი 23.691 ლიტრის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 31.000 ლიტრი. დიდი ხანია ფერმა უკვე 1950 წლის ანგარიშში აბარებს პროდუქციას.

საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. შ. ქერაულმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში კარგად მოაწყო პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა.

მოსალოდნელი იყო, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ქერაული ასეთივე პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებას წვრილფეხა პირუტყვის ფერმის მუშაკთა შორის, მაგრამ ასე როდი მოხდა.

წვრილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა, რომელიც ძლიერ დამორებულ საზაფხულო საძოვრებზე იმყოფება, უყურადღებოდაა მიტოვებული. იქ აგიტატორიც არაა გამოყოფილი და მწყემსებთან არავითარი პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა არ წარმოებს. ფერმის მუშაკები არ იცნობენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს მეცხოველეობის განვითარების შესახებ. მათ არ მისდით გაზეთები.

მართალია, ფერმას გადაჭარბებით აქვს შესრულებული წვრილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა და სახელმწიფო დამზადებათა დავალებანი, მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩება პროდუქტიულობის გეგმების შესრულებაში. 3 კილოგრამის ნაცვლად 1 პროდუქტიულ დედაცხვარზე 1 აგვისტოსათვის მხოლოდ 1,6 კილოგრამი ყველი აქვთ მიღებული, დაიხოცა 22 სული ცხვარი და სხვ.

მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში ერთგვარი მიდწევები აქვს მოპოვებული სოფელ მაგრანეთის კოლმეურნეობა „წითელ სხივს“. აქ გადაჭარბებითაა შესრულებული პირუტყვის სულადობის ზრდის სამწლიანი გეგმის პირველი წლის დავალება. აღნიშნული კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში (ეს ფერმაც იკვლივის მთაზეა) პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. აგიტატორი ზოოტექნიკოსი გ. გაბიდაური სისტემატურად ატარებს ფერმაში საუბრებს, უშვებს ადგილზე კედლის გაზეთს „იკვლივის ხმას“. ფერმის მუშაკები იცნობენ მთავრობისა და პარტიის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს. აგიტატორს სხვა საკითხებთან ერთად ჩატარებული აქვს საუბარი პირუტყვის დღე-ღამის განმავლობაში ძოვების შესახებ, რაც ამჟამად აქ მტკიცედ დამკვიდრდა. აგიტატორის დახმარებით ფერმაში კარგად დაყენებულია მიღებული პროდუქტების აღრიცხვა, დგება წველადობის დღიურები და სხვ. ფერმის მუშაკებიც პასუხისმგებლობის შეგნებით მუშაობენ. მოხუცმა მწველავმა ქეთევან ბუჯიკაშვილმა მიჩენილ 11 პროდუქტიულ ძროხაზე 6.850 ლიტრი რძე ჩაბარა კოლმეურნეობას და 522 შრომადღე გამოიმუშავა. კარგად მუშაობენ აგრეთვე მწველავი ევა ბერიმამუკელი და მომველელი დ. რუსულაშვილი.

მაგრამ ასე როდი ითქმის აღნიშნული კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაზე. პარტორგანიზაციის მდივანს დ. ნადირაშვილს ეს ფერმა სავსებით უყურადღებოდ აქვს მიტოვებული. ფერმის მომთაბარე მწყემსებთან არავითარი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა არ წარმოებს, ფერმაში არ მიდის გაზეთი. ფერმა წველადობის გეგმას ვერ ასრულებს და ნამატის შენარჩუნებაც არადამაკმაყოფილებელია.

ცუდი მდგომარეობაა სოფელ ნაქალაქრის კოჟლამაზაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმას შესრულებული არ აქვს სულადობის ზრდის გეგმა. უკანასკნელ ხანებში არათუ შემცირდა, არამედ კიდეც გაიზარდა დედასაქონლის ბერწიანობა. სამარცხვინო ჩამორჩენაა წველადობის გეგმის შესრულებაში: თითო საფურაქე ძროხაზე სამუალოდ მხოლოდ 170 ლიტრი რძეა მიღებული. ნამატის მიღების გეგმაც ვერ შეასრულეს.

ასეთი სავალალო მდგომარეობა ფერმებში იმითაც აიხსნება, რომ იქ არავითარი პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა არ წარმოებს. ფერმებში გამოყოფილი არ არიან აგიტატორები, ფერმის მუშაკები ჩაბმული არ არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, არ იღებენ გაზეთებს, არ იცნობენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე.

პარტიის თიანეთის რაიკომი ნაკლებ პრაქტიკულ დახმარებას უწევს საკოლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, მეცხოველეობის დარგში მომუშავე აგიტატორებს.

საჭიროა პარტიის რაიკომმა ამ ფაქტებიდან სათანადო დასკვნები გამოიტანოს და ბოლშევიკურად იბრძოლოს ჯიშობრივი პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, ფერმებში პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის უკეთესად მოწყობისათვის.

ე. მამალაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

შევაიარაღოთ ახალგაზრდობა მარქსისტულ-ლენინური თეორიით

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას ლენინ-სტალინის პარტია მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში პარტიის ერთგული თანაშემწეა კომკავშირი.

„ახლა, როცა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს წყვეტს, — აღნიშნავდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის მისალმებაში საკავშირო ალკკ XI ყრილობისადმი, — უფრო მეტად იზრდება კომკავშირის როლი ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. კომკავშირმა ახალგაზრდობაში უნდა აღზარდოს უშიშარი, მხნე, ხალისიანი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, ყოველგვარი სიძნელის დაძლევისათვის მზადმყოფი მებრძოლები ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველმხრივ გაძლიერეს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა ახალგაზრდობაში. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება, ლენინისა და სტალინის ნაშრომების შესწავლა ჩვენი ქვეყნის მთელი ახალგაზრდა თაობის საარსებო მოთხოვნილება გახდა. რაც უფრო მაღალია ახალგაზრდობის იდეურ-თეორიული დონე, კომუნისტური შეგნებულობა, მით უფრო მაღალია მისი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, მით უფრო ნაყოფიერია მისი პრაქტიკული მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობაში.

კომუნისტურმა პარტიამ ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ღრმად დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ, ისწავლოს ამ მოძღვრების გამოყენება თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. პარტიული ორგანიზაციების დახმარებით კომკავშირში შექმნილია პოლიტიკური განათლების ფართო ქსელი. მას საფუძვლად დაედო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების, სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, საკავშირო ალკკ წესდების შესწავლა. პროპაგანდისტული მუშაობისათვის კომკავშირში პარტიამ გამოცდილი კადრები გაგზავნა.

კომკავშირული პოლიტიკური განათლების მასშტაბზე თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევიან გასული 1948-1949 სასწავლო წლის შედეგები. კომკავშირის პოლიტიკური განათლების სისტემაში მუშაობდა 23 ათასზე მეტი წრე და პოლიტიკური სკოლა, რომლებშიც 5 მილიონამდე კაცი სწავლობდა. ახლა კომკავშირული ორგანიზაციები ენერგიულად ემზადებიან კომკავშირული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის. კომკავშირული ორგანიზაციები ეყრდნობიან პარტიის მითითებებს იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ განათლებაში მთავარია მისი თეორიული დონე, მისი იდეური მიზანდასახულობა, და ძირითად ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობას.

პროპაგანდისტთა შემადგენლობა ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვნად უმჯობესდება. სკოლებისა და წრეებისადმი ხელმძღვანელობაში ჩაბმული არიან პროპაგანდისტთა კარგად მომზადებული კადრები. ზაფხულის პერიოდში გაჩაღდა პროპაგანდისტთა კადრების მასობრივი მომზადება პარტიული ორგანიზაციების მიერ შექმნილ კურსებსა და მუდმივ მოქმედ სემინარებზე.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია კომკავშირს ყოველდღიურ დახმარებას უწევს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში. მაგალითად, მოსკოვში კომკავშირული პოლიტწრეებისა და სკოლების პროპაგანდისტთა საერთო რაოდენობის 95 პროცენტს შეადგენენ კომუნისტები, რომლებიც ამ სამუშაოზე პარტიულმა ორგანიზაციებმა გაგზავნეს. კომკავშირული პოლიტწრეებისა და პოლიტსკოლების 800-ზე მეტი ხელმძღვანელი ემზადება საკავშირო კ. პ. (ბ) რაიკომებთან მოწყობილ სამთვიან კურსებზე, 1.500 პროპაგანდისტისათვის შექმნილია ორთვიანი კურსები. უკრაინაში ჩატარებულია კომკავშირული პროპაგანდისტების სემინარების ხელმძღვანელთა საინსტრუქტაჟო თათბირები. კომკავშირული პოლიტსკოლებისა და ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი კომკავშირული წრეების ყველა ხელმძღვანელი სწავლობს უკრაინის კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მოწყობილ კურსებსა და სემინარებზე. კომკავშირული პოლიტსკოლებისა და წრეების ხელმძღვანელთა მრავალი სემინარი შექმნილია და წარმატებით მუშაობს ლენინგრადში, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ ყურადღებით უნდა შეისწავლოს საქმის მდგომარეობა კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში და დაეხმაროს კომკავშირულ ორგანიზაციებს—შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ სწავლაში ყველა კომკავშირელის ჩაბმას, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის მთელი მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი უწევს საჭირო დახმარებას კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტიკური განათლების მოწყობას. მაგალითად, საკავშირო კ. პ. (ბ) გროზნოს საოლქო კომიტეტმა არ გამოჰყო გამოცდილი პროპაგანდისტები კომკავშირული პოლიტსკოლებისა და წრეებისათვის, თუმცა კარგად ცნობილია, რომ პოლიტიკური განათლების წარმატებას, სწავლის იდეურ დონეს უწინარეს ყოვლისა პროპაგანდისტთა კადრები წყვეტენ. მთელ რიგ ადგილებში, კერძოდ კრასნოდარის მხარეში, ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკაში, ელადიმირის, მოლოტოვისა და ზოგიერთ სხვა ოლქში, კომკავშირული პროპაგანდისტების სემინარების მეცადინეობა დაბალ იდეურ და მეთოდურ დონეზე წარმოებს.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ოპერატიულად აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი, დააწესონ კონტროლი კუოსებისა და სემინარების მუშაობისადმი, უზრუნველყონ, რომ სემინარებსა და კურსებზე მეცადინეობა მაღალი იდეურ-თეორიული დონით მიმდინარეობდეს. სემინარებზე ფართო გასაქანი უნდა მიეცეს პროპაგანდისტების მიერ ძირითადი თეორიული და ძეთოდური საკითხების ცოცხალ, შემოქმედებით განხილვას.

თავიანთი პასუხსაგები და საპატიო ამოცანები წარმატებით რომ შეასრულონ, კომკავშირული პროპაგანდისტები კარგად უნდა იცნობდნენ საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს ამბებს. პარტიული ორგანიზაციები სწორად მოიქცევიან, თუ მათთვის მუდმივად მოაწყობენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შესახებ, საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მორიგი საბეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესახებ, აგრეთვე ლექციებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე. საკავშირო კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტების პარტიულ კაბინეტებთან კომკავშირული პროპაგანდისტებისათვის უნდა მოეწყოს კონსულტაციები თეორიულ საკითხებზე, მეთოდური დახმარება გაეწიოს მათ მეცადინეობისათვის მზადებაში, სასწავლო პროცესის სწორად მოწყობაში, ლიტერატურისა და თვალსაჩინო ხელსაწყოების შერჩევაში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი კომკავშირული აქტივის სწავლების სწორ ორგანიზაციას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ, თუ კომკავშირული აქტივის პრაქტიკული მუშაობა შეხამებული არ არის მის თეორიულ მომზადებასთან, არ შეიძლება არავითარი, რამდენადმე აზრიანი კომუნისტური მუშაობა კომკავშირში. ასეთი შეხამება ადვილი საქმე როდია. მაგრამ კომკავშირი კომკავშირი არ იქნებოდა, სიძნელეებისა რომ ეშინოდეს! პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდნენ კომკავშირულ აქტივს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში და ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ სტალინის მითითებით, რომ **„გულმოდგინე და ბეჯითი ლენინური სწავლა** — ასეთია ის გზა, რომელიც კომკავშირის აქტივმა უნდა გაიაროს...“.

ცალკეული კომკავშირული ორგანიზაციები, ესწრაფვიან რა იმას, რომ ყველა კომკავშირელი ჩაბან სკოლებსა და წრეებში, ჯეროვნად არ აფასებენ პოლიტიკურ თვითგანათლებას, როგორც კომკავშირული კადრების მიერ, ახალგაზრდა ინტელიგენციის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარ მეთოდს. ეს სწორი არ არის. ფართოდ უნდა ჩავაბათ ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკები მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლაში, საღამოს პარტიულ სკოლებში, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში და სემინარებზე სწავლაში.

პოლიტიკური განათლების დონის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს სასწავლო-პროპაგანდისტული ლიტერატურის გამოცემა. ზაფხულის პერიოდში ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე იზრუნა ამ ლიტერატურის გამოცემისათვის. ადგილობრივ გამომცემლობათა მიერ კომკავშირული სკოლებისა და წრეებისათვის გამოშვებულია 600 ათასზე მეტი ეგზემპლარი ბროშურა და სახელმძღვანელო. მაგრამ ეს საკმაო როდია. კერძოდ, უნდა გადიდდეს სასწავლო-ლიტერატურის გამოშვება სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო დადგენილება პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ორგანიზაციების დახმარების შესახებ. ამით ახალი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის დაუღალავმა ზრუნვამ საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებით და მიაღწიონ ახალგაზრდობაში მთელი იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოთა პატრიოტების ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის ახალ აღმავლობას.

„პრავდის“ 20/IX მოწინავე.

უკანასკნელი ფოსტა

„მევენახეს“ ჟურნალისტ-პიბქერთა-მასალები

პურის დამზადების ტემპი გურჯაანის რაიონში ამჟამად არასაკმაოა. ზოგიერთ კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 60-70 პროცენტით.

„პურის დამზადების გეგმის შესრულება კოლმეურნეობათა პირველი მცნებაა — ასე გვასწავლის ჩვენ ამხანაგი სტალინი. ახლა, როცა საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებულია პურეულის მასიურად აღება, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ბელადის ბრძნული მითითება“, — წერდა გურჯაანის რაიონული გაზეთი „მევენახე“ 7 ივლისის მოწინავეში. მოსალოდნელი იყო, რომ „მევენახის“ რედაქცია ფართოდ გააჩაღებდა ბრძოლას პურის დამზადების გეგმის ვადაზე ადრე შესასრულებლად, მაგრამ ასე არ მოხდა. გაზეთი სხვებს მოუწოდებდა, რომ არ დაეივიწყათ პირველი მცნება. სამწუხაროდ, ეს ყველაზე უწინ თვითონ რედაქციის მუშაკებს დაავიწყდა. ორთვენახევრის განმავლობაში პურის დამზადების საკითხზე გაზეთმა მხოლოდ რამდენიმე ზერელე ინფორმაცია მოთავსა. გაზეთს არ უჩვენებია პურის დამზადების მოწინავეთა გამოცდილება, არ შეუსწავლია ამ მხრივ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მუშაობა და არ გამოუმჟღავნებია ნაკლოვანებანი. აგვისტოსა და სექტემბერში გაზეთმა „მევენახემ“ (რედაქტორი ამხ. რ. მჭედლიშვილი) სრულიად დაივიწყა პურის დამზადების საკითხი.

ვფიქრობთ, საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი თავისი გაზეთის მუშაობის გამოსასწორებლად სათანადო ზომებს მიიღებს.

უპასუხისმგებლობის შედეგი

სახელგამის მიერ გამოცემულ 1949 წლის კედლის კალენდრის 16 სექტემბრის ფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილია საცნობარო მასალა — „ბულგარეთის განთავისუფლება“. ამ ცნობაში სხვათა შორის ვკითხულობთ:

„... საბჭოთა არმიის მიერ გერმანულ-ფაშისტურ არმიაზე გამარჯვებამ და ჩვენი ჯარების ნაწილების შესვლამ 1947 წ. 8 სექტემბერს ჩრდილო-აღმოსავლეთ ბულგარეთში, გადამწყვეტი როლი ითამაშეს ბულგარეთის სახალხო მასების ამოქმედებაში მიტლერელი აგენტების ხელისუფლების წინააღმდეგ. 1944 წ. 9 სექტემბერს ბულგარეთში საერთო სახალხო ანტიფაშისტური აჯანყების შედეგად გაუქმებულ იქნა (?!) ძველი, რეაქციულ-მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმი და შეიქმნა ახალი მთავრობა—სამამულო ფრონტის მთავრობა“.

გარდა იმისა, რომ მთელი მასალა დაწერილია გაუმართავი ქართულით („სახალხო მასები“, „გაუქმებულ იქნა ძველი, რეაქციულ-მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმი“ და სხვ.), დაშვებულია უხეში შეცდომაც. საბჭოთა არმიის ნაწილები ბულგარეთში შევიდნენ არა 1947 წლის 8 სექტემბერს, როგორც ეს კალენდრის შემდგენლებს ჰგონიათ, არამედ 1944 წლის სექტემბერში. ჩვენი აზრით, ეს უბრალო კორექტურა როდია.

კალენდარში სხვა მრავალი ლაპსუსიცაა. ეს მოწმობს, რომ კალენდარის რედაქტორი ლ. კალანდაძე საკმაო პასუხისმგებლობით არ მოკიდებია საქმეს.

სახელგამის ხელმძღვანელობამ საჭიროა აქედანვე მიიღოს ზომები, რათა მომავალში აღარ გაჩეორდეს მსგავსი შემთხვევები.

რაზომ აფეხებენ ვაგონების მინოდებას?

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გომის სპირტსახდელი ქარხანა ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებდა საწარმოო დავალებას. უკანასკნელ თვეებში ამიერკავკასიის რკინიგზამ ვერ უზრუნველყო ქარხნისათვის დაწესებული რაოდენობით ვაგონების მიწოდება და მზა პროდუქციის გატანა, რამაც საგრძნობი გავლენა მოახდინა გეგმის შესრულებაზე. სპირტსახდელ ქარხანას ვაგონების მიუწოდებლობის გამო დიდი მოცდენა ჰქონდა ივნისში. ივლისში რკინიგზას ქარხნისათვის უნდა მიეწოდებინა 13 ცისტერნი, ხოლო ფაქტიურად მიაწოდა მხოლოდ სამი. ამის გამო ქარხანამ ვერ შეასრულა სპირტის გაზიდვის გეგმა და სპირტის ჩასასხმელი ჭურჭლის უქონლობის გამო მუშაობა შეჩერებულ იქნა. ასეთი მდგომარეობა დღემდე გრძელდება. არის შემთხვევები, როცა სპირტით დატვირთული ვაგონები 3-4 დღე დგანან გომის სადგურში და არ იგზავნებიან დანიშნულებისამებრ.

ამჟამად 180 ტონა დასამუშავებელი ნედლეული მოთავსებულია კასრებში, რაც ყოველდღიურად სულ უფრო მეტად მჭაედება, მცირდება გამოსავლიანობა და სახელმწიფო მილიონობით მანეთს ზარალობს.

საჭიროა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ სასწრაფო ზომები მიიღოს სპირტსახდელი ქარხნისათვის საჭირო რაოდენობის ცისტერნების მისაწოდებლად.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი



ჩელუსკინელთა ხიდთან მტკვრის მარჯვენა ნაპირის საყრდენი კედლის მშენებლობაზე სტახანოვური შრომით თავი ისახელა გ. ბეგლარიშვილის მებეტონეთა ბრიგადამ, რომელიც დღიურ დავალებას 165-170 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ბრიგადირი გ. ბეგლარიშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ახალმშენებლობათა მოწინავე ადამიანები

მებეტონე გიორგი ბეგლარიშვილი

დედაქალაქის ახალი სანაპირო ქუჩის სახელოვან მშენებელთა შორის ერთი პირველთაგანია მებეტონე გიორგი ბეგლარიშვილი.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველი სამუშაოები ჩაღდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სანაპირო ქუჩის მშენებლობისათვის, გიორგი ბეგლარიშვილმა სტახანოვური შრომით არაერთხელ დაიმსახურა მშენებელთა მთელი კოლექტივის მოწონება.

დიდი სამამულო ომის პერიოდში გიორგი ბეგლარიშვილი ერთ-ერთი პირველი წავიდა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. მამაცმა მეომარმა თავი ისახელა სისხლისმღვრელ ბრძოლებში სტალინგრადთან, ტაგანროგსა და კიევთან. იგი დაუნდობლად ანადგურებდა ფაშისტ გარეწრებს ბუდაპეშტში და ელბაზე.

მშობლიურ თბილისში 1946 წელს დაბრუნდა გამარჯვებული მეომარი. მაშინვე სანაპიროს მშენებლობას მიაშურა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ახალდაწყებული იყო სამუშაოები. იგი მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელად დანიშნეს. ამ ბრიგადის დაწინაურებაში გიორგის დიდად დაეხმარა საბჭოთა არმიაში მიღებული ჩვევები — დისციპლინიანობა, სიზუსტე და დროს დაფასება.

ამჟამად გ. ბეგლარიშვილის მებეტონეთა ბრიგადა მისივე მეზობლების — კასპელი ახალგაზრდებისაგან შედგება. ისინი წარმატებით მუშაობენ ჩელუსკინელთა ხიდთან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე საყრდენი კედლის ამოყვანაზე. ივლისის გეგმა ბრიგადამ 165 პროცენტით შეასრულა და აგვისტოში უფრო უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა.

ასეთ წარმატებას ბეგლარიშვილი აღწევს ბრიგადის ყველა წევრის შეთანხმებული და გეგმიანი მუშაობით. ბეტონის სამუშაოთა წარმატებით შესრულება დამოკიდებულია ბეტონსარევი მანქანის გამართულ მუშაობაზე, რასაც ბეგლარიშვილმა მიაღწია ბრიგადაში შრომის მიზანშეწონილი განაწილებით. ბრიგადის წევრთა ერთი ჯგუფი ბეტონსარევ მანქანაზე მუშაობს. ამ ჯგუფის წევრები სრული პასუხისმგებლები არიან ბეტონსარევი მანქანის შეუფერხებელი მუშაობისათვის. მათ ევალებათ მოამზადონ ცემენტისა და სილა-ხრეშის ნაზავი, ჩაყარონ იგი მანქანაში და დამზადებული ბეტონი დატვირთონ ვაგონეტებში, ტექნიკურ წესრიგზე იქონონ მანქანა და თვალყური ადევნონ მის მუშაობას. ამასთან ისინი პასუხისმგებლები არიან ბეტონის მაღალი ხარისხისათვის. ბრიგადის წევრთა მეორე ჯგუფი 12 კაცის ხელმძღვანელობით ბეტონსარევ მანქანასთან ეზიდება ცემენტსა და სილა-ხრეშს. მესამე ჯგუფს ბეტონით დატვირთული ვაგონეტები დასაცლელად მიაქვს, მეოთხე ჯგუფი ბეტონის დაგებაზე მუშაობს.

შრომის ასეთი განაწილება ბრიგადის თვითეულ წევრს ავალებს მაქსიმალურად გამოიყენოს დრო, იმუშაოს სრული დატვირთვით, ერთი წუთიც არ გააცდინოს. სამუშაოს შეფერხება რომელიმე რგოლში მთელი ბრიგადის საქმიანობის შეფერხებას იწვევს, რადგან ბრიგადის თვითეული ჯგუფის მუშაობა ერთმანეთზეა დამოკიდებული. მუშაობის ასეთი მეთოდი სპობს გაუპიროვნებას.

მხოლოდ მუშაობის ასეთი მეთოდით, რომელიც ეყრდნობა ბრიგადის წევრთა დისციპლინიანობას, მათ კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, შესაძლებელი გახდა ჩელუსკინელთა ხიდთან 67 მეტრზე კედლის გაწმენდა ბეტონის დასაგებად. ამ სამუშაოს სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ნიადაგის წყლებმა კედლის თავზე თიხის ლაფი წარმოქმნეს. რამდენიც არ ეცადნენ კედლის გაწმენდას, გატანილი ლაფის ადგილს ახალი იჭერდა. მაშინ საქმეს გ. ბეგლარიშვილის ბრიგადა შეუდგა. 17 სექტემბერს ორი ცვლის გადაბმული მუშაობით ბრიგადამ შეძლო კედლის გაწმენდა და დასაბეტონებლად მომზადება. ამით ბრიგადამ 600 პროცენტით შეასრულა დღიური დავალება.

ამ მოწინავე ბრიგადის მიერ დაგებული ბეტონი საუკეთესო ხარისხისაა. ამას ბრიგადა იმით აღწევს, რომ მტკიცე კონტროლია დაწესებული ბეტონსარევ მანქანაზე და აგრეთვე ბეტონის დაგებაზე მომუშავეთა მიმართ, რომელთა მუშაობაზეა ძირითადად დამოკიდებული დაბეტონების ხარისხი. ბეტონსარევ მანქანაზე სამუშაოდ შერჩეული არიან საუკეთესო სტახანოველები: შ. ხეჩუაშვილი, შ. ტურაშვილი, ნ. ბეგლარიშვილი. ასევე ბეტონის დაგებაზე დიდი პასუხისმგებლობით მუშაობენ დახელოვნებული სპეციალისტები ყ. აბრამიძე, ვ. ბეგლარიშვილი და სხვები.

გ. ბეგლარიშვილმა ისე შეაყვარა თავისი პროფესია ბრიგადის წევრებს, რომლებიც კასპის რაიონის კოლმეურნეობებიდან დროებით სამუშაოდ ჩამოვიდნენ სანაპიროს მშენებლობაზე, რომ მათ გადაწყვიტეს მუდმივ სამუშაოდ დარჩნენ დედაქალაქის მშენებლობებზე.

მ. არუშიძე

ასათასოვანი ავტომძღოლები

საქართველოს შახტმშენებლობის სამმართველოს ავტოსატრანსპორტო მეურნეობაში მომუშავე მოწინავე მძღოლებმა შარშან გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სატვირთო ავტომანქანით 100.000 კილომეტრის გასავლელად ისე, რომ საჭირო არ ყოფილიყო ავტომანქანის კაპიტალური რემონტი. მალე ამ მოძრაობაში მსმენრიგად ჩაებნენ საქართველოს შახტმშენებლობის ობიექტებზე მომუშავე მძღოლები (ტყიბული, ქუთაისი, ტყვარჩელი, ახალციხე, თბილისი და სხვ.).

შეჯიბრებაში ჩაბმულმა ბევრმა ავტომძღოლმა შესანიშნავი წარმატება მოიპოვა. რამდენიმე დღის წინათ თბილისში შედგა საქართველოს შახტმშენებლობის სამმართველოს სხვადასხვა ობიექტებზე მომუშავე ასათასოვან ავტომძღოლთა რესპუბლიკური შეკრება. შეკრებაზე ასათასოვანთა მოძრაობის სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა შახტმშენებლობის სამმართველოს ავტოსატრანსპორტო მეურნეობის უფროსი დ. მაისურაძე. მომხსენებელმა ილაპარაკა ასათასოვანთა მოძრაობის მნიშვნელობაზე და მომავალ ამოცანებზე.

„საქშახტმშენის“ ავტოსატრანსპორტო მეურნეობაში მრავალი ასათასოვანი მძღოლი მუშაობს. ისინი სატვირთო მანქანების ურემონტო, უავარიო, რენტაბელური მუშაობის სამაგალითო ნიმუშებს გვაძლევენ. მაგალითად, ავტომძღოლმა ს. კუპრაძემ ექვს თვეში 125.000 კილომეტრი გაიარა, გეგმის გადამეტებით გადაზიდა მრავალი ათეული ათასი ტონა ტვირთი და დაზოგა 16.300 მანეთის საწვავი. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე ავტომძღოლებმა ს. რაზმაძემ, დ. ყაველაშვილმა, ნ. ხევსურაშვილმა, კ. ტატიშვილმა, თ. ბენკლიანმა. ტყიბულშახტმშენის ავტომძღოლმა პ. ბოჭორიშვილმა თავისი სატვირთო მანქანით ჯერ-ჯერობით ურემონტოდ გაიარა 35.000 კილომეტრი, თბილისელმა ავტომძღოლმა რ. გოცირიძემ — 42.900 კილომეტრი.

ასათასოვანთა მოძრაობის განვითარების შედეგად მარტო ერთი სამშენებლო ობიექტის ავტოსარემონტო კანტორის კოლექტივმა (უფროსი პ. ზუმბაძე) ნახევარი წლის ტვირთზიდვის გეგმა 205,2 პროცენტით შეასრულა, დაზოგა 23.668 ლიტრი საწვავი და გადაზიდვის თვითღირებულება 35 პროცენტით შეამცირა. ტვირთზიდვის საწარმოო გეგმათა შესრულებაში კარგი შედეგები აქვთ აგრეთვე ქასპის ცემენტის ქარხნის და ქუთაისის ავტოქარხნის ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა კოლექტივებს.

შეკრებაზე სიტყვები წარმოთქვეს და გადიდებული საწარმოო ვალდებულებების შესრულება იკისრეს ასათასოვანმა მძღოლებმა ნ. ხევსურიშვილმა, დ. რაზმაძემ, ს. ვასილკოვმა, ლ. კუნდუშმა და სხვ.

შეკრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ასათასოვან ავტომძღოლთა მოძრაობის შემდგომი გაფართოების, მოწინავე ადამიანთა გამოცდილების გაზიარებისა და სამშენებლო ტვირთზიდვის გეგმათა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად.

ავტოტრანსპორტის მუშაკთა პროფესიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ შახტმშენებელ ავტომძღოლთა ამ წამოწყებას და გაავრცელონ იგი ჩვენი რესპუბლიკის მთელ ავტოტრანსპორტზე.

დ. იაშვილი

პასუხი შეკითხვაზე

რა არის „ჭრუმენის დოქტრინა“ და „მარშალის გეგმა?“

შეკითხვა ა. დავითაძისა (ხულოს რაიონი)

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებმა დიდძალი მოგება მიიღეს. ამავე დროს დასუსტდნენ ომამდე ძლიერი სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დახმარებას მოითხოვდნენ. ამერიკელი მონოპოლისტები კაპიტალისტურ სამყაროში ვერ ხედავდნენ კონკურენტს. მათ აღეძრათ სურვილი უფრო გაეზარდათ ამერიკის კაპიტალზე დამოკიდებულ სახელმწიფოთა რიცხვი, გაედიდებინათ თავიანთი გავლენის სფერო.

მეორე მხრივ ომმა შეასუსტა კაპიტალიზმი, გააძლიერა დემოკრატიის ძალები. თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა აღმართეს კოლონიების ხალხებმა. ამან საგონებელში ჩააგდო რეაქციის ბურჯი — ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკელ მონოპოლისტთა ზრუნვის საგანი გახდა კაპიტალიზმისა და რეაქციის ინტერესების დაცვა მთელ მსოფლიოში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელიც უოლ-სტრიტის მსახურია, მიზნად დაისახა ყოველგვარი საშუალებით აწარმოოს ბრძოლა დემოკრატიის ძალების წინააღმდეგ. მისი მოთხოვნით დოლარებითა და იარაღით დახმარებას იღებენ საბერძნეთის რეაქციული მთავრობა დემოკრატიული არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში, გომინდანის რეაქციული მთავრობა ჩინელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში, თურქეთის რეაქციული მთავრობა. ტრუმენის მოთხოვნით საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ იქმნება სამხედრო ბაზები და ბლაცდარმები. ტრუმენმა გამოაცხადა „კომუნიზმის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის“ ლოზუნგი. ის არის ეგრეთწოდებული „ცივი ომის“ სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

ასე წარმოიშვა ე. წ. „ტრუმენის დოქტრინა“, რომელიც მიზნად ისახავს პროგრესულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლას და მთელ მსოფლიოში კაპიტალისტური წყობილების დაცვას. ამავე დროს იგი გულისხმობს ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა ჩარევას ცალკეულ სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, „თავისუფლების“ დაცვის საბაბით პატარა ერებისათვის თავისი ნეხა-სურვილის მოხვევას. „ტრუმენის დოქტრინას“ უაღრესად აგრესიული ხასიათი აქვს.

1947 წლის 5 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მარშალმა სიტყვა წარმოთქვა ჰარვარდის უნივერსიტეტში. ეს სიტყვა საფუძვლად დაედო ეგრეთწოდებულ „მარშალის გეგმას“. მარშალმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არიან დაეხმარონ ევროპას აღდგენის საქმეში, მაგრამ ინიციატივა თვით ევროპიდან უნდა გამომდინარეობდესო. ამ განცხადებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა რეაქციულ ძალებში. ბევინი და ბიდო მიესალმნენ მას და „მარშალის გეგმა“ ევროპის ეკონომიკის აღდგენის საფუძვლად აღიარეს.

1947 წლის 2 ივლისს სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების პარიზის თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. ვ. მოლოტოვმა გააფრთხილა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომ „მარშალის გეგმა“ სასურველ შედეგს არ მოუტანს მათ. „საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს,—თქვა ამხ. მოლოტოვმა, — რომ ევროპის ქვეყნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თვითეული ქვეყნის შინაურ, ეროვნულ ღონისძიებებს და არა უცხოეთის დახმარების იმედს, რასაც დაქვემდებარებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს“.

„მარშალის გეგმის“ ბუნდოვანი, განზრახ შენიღბული ფორმულირების არსი ის არის, რომ შეაკოწიწოს იმ სახელმწიფოთა ბლოკი, რომლებიც ხელფეხშეკრული არიან ვალდებულებებით ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, და ამერიკის კრედიტები წარმოგვიდგინოს როგორც საზღაური ევროპის სახელმწიფოების მიერ ეკონომიურ, ხოლო შემდეგ აგრეთვე პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე უარის თქმისათვის“ (ა. ჟდანოვი).

„მარშალის გეგმის“ განხორციელების დაწყებიდან განვლილმა პერიოდმა ნათლად დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფაქტიური კონტროლი დაწესეს მარშალიზებული ქვეყნების მრეწველობისადმი, შეზღუდეს მათი საგარეო ვაჭრობა, გავლენა მოახდინეს საფინანსო სისტემაზე, ეს ქვეყნები გადააქციეს ამერიკული საქონლის ბაზრად და სტრატეგიული ნედლეულის ბაზად, გამოიწვიეს უმუშევრობის ზრდა. ასე, მაგალითად, მარშალიზებულ იტალიაში 3 მილიონი უმუშევარია, ხოლო დასავლეთ გერმანიაში მილიონნახევარ კაცს არა აქვს სამუშაო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკა ამ ქვეყნების მოსახლეობას თავს ახვევს თავის ჩაწოლილ საქონელს. მაშინ როცა ჰოლანდიაში ახალი ხილი და ბოსტნეული საწყობებში ლპება, ჰოლანდიელებს ამერიკულ ხმელ ხილსა და ამერიკულ ერზაც-პროდუქტებს აჩიჩებენ.

„მარშალის გეგმით“ პირველ წელს გაცემულ იქნა 5 მილიარდი დოლარი, მაგრამ ამ თანხის მეტი წილი სამხედრო საქმეზე დაიხარჯა, ხოლო მშრომელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

მარშალიზებული ქვეყნების მშრომელები რწმუნდებიან, რომ „მარშალის გეგმა“ უმუშევრობის ზრდისა და ცხოვრების პირობების გაუარესების გეგმაა, ახალი იმპერიალისტური ომის მომზადების გეგმაა. ამიტომ ისინი სულ უფრო მეტად ხმას იმაღლებენ „მარშალის გეგმის“ წინააღმდეგ, ამერიკის იმპერიალიზმისა და საკუთარ ქვეყანაში მისი აგენტების წინააღმდეგ.

აკ. ჩავლეიშვილი

სოციალისტური შეჯიბრება საქალაქო საბჭოებს შორის

სოხუმი იწვევს ბათუმს

მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს მორიგმა სესიამ განიხილა საქალაქო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საკითხი. მომხსენებელმა — საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მუშაკმა ა. ჟვანიამ და დეპუტატებმა ა. ივარდავამ, პ. ეთერიამ, პ. ჯოჯუამ და თ. კისელიოვამ, საბინაო სამმართველოს უფროსმა ი. ახალაიამ და საფინანსო განყოფილების გამგემ ა. ჯაბუამ მოიწონეს თბილისის ლენინის სახელობის რაისაბჭოს ინიციატივა და ილაპარაკეს ქალაქ სოხუმის შემდგომი რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებზე.

სესიამ მოიწონა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება სოციალისტურ შეჯიბრებაში ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამოწვევის შესახებ და იკისრა შემდეგი ვალდებულებანი: წლის ბოლომდე აშენდება სამი სატრანსფორმატორო კიოსკი, 2 კილომეტრის მანძილზე გაყვანილი იქნება ელექტროგადამცემი ქსელი, დამატებით განათდება ხუთი ქუჩა, არსებული ტრანსფორმატორების სიმძლავრე გადიდდება 500 კილოვატით და განხორციელდება ელექტროქსელის პროფილაქტიური ღონისძიებანი. უახლოეს დღეებში დამთავრდება ჩარკვიანის ქუჩის მოასფალტება, კიროვისა და შევჩენკოს ქუჩების რეკონსტრუქცია და სხვ.;

7 ნოემბრისათვის მაღალხარისხოვნად შესრულდება საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი;

წელს დამატებით დაირგვება 6 ათასი ძირი სხვადასხვა დეკორაციული ბუჩენარე, ქალაქის სანერგეში გამოყვანილი იქნება 20 ათასი დეკორაციული მცენარის ნერგი, დამატებით აშენდება 10 სათბური. საუკეთესოდ მოუვლიან არსებულ მწვანე ნარგავებსა და ევკალიპტებს;

სტალინისა და მოგილევის ქუჩებზე დამატებით გაიხსნება ორი სავაჭრო სასურსათო წერტილი და იპოდრომის ქუჩაზე სასაუზმე. საკოლმეურნეო ბაზართან აშენდება მაცივარი;

საქალაქო საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებითი შესრულებისათვის გაუმჯობესდება მუდმივი კომისიების მუშაობა და აქტივთან კავშირი, გაიშლება სოციალისტური შეჯიბრება განყოფილებებსა და მუდმივ კომისიებს შორის. მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის საბჭოს აღმასკომთან მოეწყობა „დეპუტატის ოთახი“.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის სესიამ დაავალა აღმასკომს და დეპუტატებს გააძლიერონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მშრომელთა შორის, დარაზმონ ისინი ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის და მოახდინონ შეჯიბრების მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება.

ს. ზოლნია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დახმარება სამამულო ომის ინვალიდებს

ადიგენი. (საკ. კორ.). რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ ორნახევარი წლის განმავლობაში სამამულო ომის ინვალიდებს პენსიისა და ერთდროული დახმარების სახით მისცა 615.106 მანეთი, შრომის ინვალიდებს — 515.174 მანეთი. ამ ხნის მანძილზე სამამულო ომში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახებს სახელმწიფო დახმარების სახით მიეცათ 414.515 მანეთი. სულ გაცემულია 2.255.531 მანეთი. რაიონის 30 კოლმეურნეობაში შექმნილია ურთიერთდამხმარე სალარო-ები, რომლებიც ქმედით დახმარებას უწევენ ომისა და შრომის ინვალიდთა ოჯახებს.

უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესის ბოლო ეტაპი

ჭიჭო და ამერიკის დაზვერვა უნგრეთში შეიარაღებული გადაჯვრიალების გეგმის ავტორები არიან

დამთავრდა ბრანკოვის დაკითხვა

ბუდაპეშტი, 19 სექტემბერი. (საკდესი). სასამართლოს დღევანდელ დილის სხდომაზე, რომელიც განიხილავს რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეს, პროკურორმა დიულა ალაპმა მთელი რიგი კითხვები მისცა ბრალდებულ ბრანკოს, რომლის დაკითხვა სასამართლოს წევრებმა შაბათს დაამთავრეს.

ბრანკოვი უპასუხებს პროკურორის კითხვაზე და აჩვენებს, რომ იუგოსლავიის სამხედრო მისია უნგრეთში მეტად გულთბილად მიიღეს და რომ სამხედრო მისიის, ხოლო შემდეგ უნგრეთში იუგოსლავიის დიპლომატიური მისიის მუშაკებს განსაკუთრებული გულითადობით ეპყრობოდნენ. „ხშირად მე,—ამბობს ბრალდებული,—პირდაპირ მრცხვენოდა შემესრულებინა ბელგრადის მითითებანი, რომლებიც მიმართული იყო იმათ წინააღმდეგ, ვინც ასეთი სიყვარულით გეპყრობოდა. მეგობრობაზე ჩვენ ვუპასუხებდით ჯაშუშობით, გადატრიალებისა და უნგრელი ხალხის ხელმძღვანელთა მოკვლისათვის მზადებით“.

ბრანკოვი უპასუხებს პროკურორის სხვა კითხვაზე და აჩვენებს, რომ უნგრეთში იუგოსლავიის ოფიციალურ წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა ჯაშუშობას ეწეოდა და რომ იუგოსლავიის დესპანმა უნგრეთში არა მარტო იცოდა ეს, არამედ მუდამ წარმართავდა ამ ჯაშუშურ საქმიანობას.

პროკურორი: რა იცით უნგრეთიდან იუგოსლავიაში უნგრელ მოქალაქეთა ძალით წაყვანის შესახებ?

ბრანკოვი: 1947 წლის იანვარში ძალით წაყვანილ იქნა იუგოსლავიაში ხრიბარ ლიუბიკა. ამაზე ადრე ასევე მოტაცებულ იქნა ფერენც მიკული. ამას სჩადიოდნენ მათი გადაბირების მიზნით. იყო ისეთი შემთხვევები, როცა იუგოსლავიის დაზვერვის აგენტები ყალბი დოკუმენტებით მიემგზავრებოდნენ უნგრეთიდან ბელგრადს. მაგალითად, ხეტედიუში, ლასლოვიჩი, ვიდაკოვიჩი და სხვ.

პროკურორი: თქვენ აჩვენეთ, რომ ისეთსავე საქმიანობას, როგორც უნგრეთში, იუგოსლავიელი ხელმძღვანელები ეწეოდნენ სხვა ქვეყნებშიც. რა შეგიძლიათ გვიამბოთ ამაზე?

ბრანკოვი: ჯაშუშური საქმიანობა განსაკუთრებით აქტიურად ხორციელდებოდა ჩეხოსლოვაკიაში. რანკოვიჩი არ იყო ქმაყოფილი უნგრეთში ჩვენი მუშაობით, გვისაყვედურებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, იუგოსლავიის ქსელი ჩეხოსლოვაკიაში გაცილებით უკეთ მუშაობსო. იქ სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მთავარი რეზიდენტი იყო დრნდიჩი — სამხედრო ატაშეს მოადგილე.

დრნდიჩმა მოახერხა კარგი ურთიერთობა დაემყარებინა იმ ჩეხებსა და სლოვაკებთან, რომლებიც ომის დროს დასავლეთში იმყოფებოდნენ, და განსაკუთრებით იმათთან, რომლებიც ინგლისის არმიაში მსახურობდნენ. რანკოვიჩმა მითხრა, თქვენც ამ გზას უნდა დაადგეთო. დრნდიჩმა 1947 წელს მასთან შეხვედრის დროს მითხრა, რომ თავის მუშაობაში იგი ეყრდნობოდა ნაციონალისტურ ელემენტებს, „გლინკას გვარდიაში“ ნამსახურ ადამიანებს, რომ მან ყოველმხრივ გამოიყენა ჩეხებსა და სლოვაკებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

პროკურორი: გადაბირების მეთოდების შესახებ, რა ინსტრუქციებს აღებდით თქვენ, როგორც სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მთავარი რეზიდენტი?

ბრანკოვი: რანკოვიჩმა მოგვცა მითითება ასეთ შემთხვევაში გამოგვიყენებინა მუქარა, ადამიანების დაშინება მათ დანაშაულობათა გამომეყავნებით. ეს, რასაკვირველია, იმათ ეხებოდათ, ვინც დაკავშირებული იყო უნგრეთის სიდუქლო პოლიციასთან, გესტაპოსთან, ინგლისისა და ამერიკის დაზვერვებთან. ეს ადამიანები ჩვენი საუკეთესო აგენტები ხდებოდნენ. ისინი ხელებს ადგილად გვეკავა ხელში. რანკოვიჩი, ამ მითითებებს რომ იძლეოდა, არ მალავდა, რომ ეს იყო გესტაპოური მეთოდები, და კიდეც აღნიშნავდა ხაზგასმით, გესტაპოს გამოცდილებიდან საჭიროა ბევრი რამ გადმოვიღოთო. მე მგონია, რომ რანკოვიჩისა და ტიტოს მიმართაც ამერიკელებმა ეს მეთოდები გამოიყენეს. მგონია, რომ ამერიკელებს ხელთ აქვთ ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ტიტოსა და რანკოვიჩს სახელს უტეხენ პოლიციასთან მათი ძველი კავშირის გამო, და ამერიკელები იყენებენ ამას და ხელში უკავიათ ისინი. ომის დროს რანკოვიჩი პარტიზანთა მცირე ჯგუფთან ერთად ხელში ჩაუგარდა გერმანელებს და გესტაპოში მიიყვანეს. მოკლე ხნის შემდეგ რანკოვიჩი განთავისუფლებულ იქნა, მაშინ როცა დანარჩენნი შეპყრობილი პარტიზანები გერმანელებმა დახვრიტეს. ამის გამო ზოგიერთ პარტიზანს ეეჭვა აღეძრა, რომ რანკოვიჩი გესტაპომ გადაიბირა და გაათავისუფლა. 1941, 1942, 1943 წლებში ტიტო მოლაპარაკებას ეწეოდა გერმანელებთან, თანახმა იყო ბრძოლა შეეწყვიტა მათს წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ნებას მისცემდნენ მას იუგოსლავიაში შეექმნა თავისი მთავრობა. ამაზე მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ მის მახლობელ წრეებში. 1943 წლის შუა თვეებში, საბჭოთა არმიის მოახლოებასთან დაკავშირებით, ეს მოლაპარაკება შეწყდა. იმათ, ვინც ამ მოლაპარაკების შესახებ იცოდა რამე, ფრონტის ყველაზე საშიშ უბნებზე გზავნიდნენ. ასევე ეპყრობოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იწონებდნენ ტიტოს ჯგუფის კავშირს ინგლისელებსა და ამერიკელებთან. ასობით დაიღუპა ასეთი ადამიანი.

ბრალდებული ბრანკოვი უპასუხებს პროკურორის კითხვაზე და აჩვენებს, რომ ბუდაპეშტში იუგოსლავიის მისიის საკონსულო განყოფილებას ჰქონდა უნგრული ყალბი ბეჭდების მთელი კოლექცია, რასაც იყენებდა ფიქტიური დოკუმენტების დასამზადებლად და პასპორტებზე ვიზების გასაკეთებლად. ამ მუშაობას, — როგორც ბრანკოვი აჩვენებს, — სმილანიჩი და ბლაკიჩი ეწეოდნენ.

შემდეგ ბრანკოვი ამბობს, რომ მილოშ მოიჩი რანკოვიჩისა და ტიტოს პირდაპირი მითითებით მოკლეს. რანკოვიჩმა წერილობითი განკარგულება გასცა მოესპოთ ის აგენტები, რომელთაც შეეძლოთ ზიანის მიყენება, და ხაზგასმით აღნიშნავდა თავის ბრძანებაში, რომ ტიტო ამას საესებით იწონებს. ამ შემთხვევაში მიღებულ იქნა რანკოვიჩის დეპეშა ბრძანებით — მოეკლათ მილოშ მოიჩი. დესანტმა მრაზოვიჩმა, რომელიც დაეინებით მოითხოვდა ამ ბრძანების შესრულებას, ეს საქმე მიანდო ბლაკიჩს, რომელსაც ამისათვის მისცა თავისი რევოლვერი, თვითონ კი იუგოსლავიაში გაემგზავრა, რათა უნგრეთში არ ყოფილიყო მკვლელობის ჩადენის მომენტში.

ამის შემდეგ პროკურორმა რამდენიმე კითხვა მისცა ბრალდებულ რაიკს.

კითხვაზე — იმ ადამიანთაგან, რომლებიც საფრანგეთის საკონცენტრაციო ბანაკებში იყვნენ და იქ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ, ვინ გახსოვთო, რაიკი ამბობს, რომ არ შეუძლია დასახელოს ახალი გვარები, რადგან ეს დიდი ხნის ამბავია და ბევრი რამ დავიწყდა. გარდა ამისა, — ამბობს ბრალდებული, — ბევრი მაშინ ცნობილი იყო გამოგონილი გვარებით, რომლებიც ზოგჯერ ერთნაირიც კი იყო. შესაძლოა, რომ ზოგიერთი, ვისაც, როგორც მახსოვს, ესახელეთში ვიცნობდი, უფრო გვიან შეეხვდა და, პირიქით, იმათ, ვინც მაშინ ბანაკებში იყო, უფრო მერმინდელ ნაცნობებად ვთვლი.

მას შემდეგ, რაც დამცველებმა განაცხადეს, კითხვები დაკითხულ ბრალდებულებისადმი არა გვაქვსო, სასამართლო გადავიდა მეოთხე ბრალდებულის ტიბორ სენიის დაკითხვაზე.

ბრალდებულ ტიბორ სენიის დაკითხვა

ამერიკის ეს ნაცადი ჯაშუში უპასუხებს სასამართლოს თავმჯდომარის კითხვაზე და აცხადებს, რომ მოცდამი წაყენებული ყველა ბრალდება სწორია და რომ იგი თავს დამნაშავედ ცნობს იმ დანაშაულობათა ჩადენაში, რომლებიც ჩამოთვლილია საბრალდებო აქტში. ბრალდებული თავის ჩვენებას იწყებს იმაზე ლაპარაკით, თუ როგორ დაიწყო სამსახური ამერიკის დაზვერვაში.

ამერიკის დაზვერვასთან, ამბობს იგი, კავშირი დავამყარე 1944 წლის შემოდგომაზე. იმ დროს შვეიცარიაში ვიმყოფებოდი, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი; ჩემნაირი პოლიტემიგრანტი იქ ბევრი იყო. ამერიკის დაზვერვის ორგანოებმა ომის პირველსავე წლებში აქტიური მუშაობა გაიჩაღეს ასეთი ელემენტებიდან აგენტების შესაგროვებლად, რომლებსაც შემდეგ შეეძლებოდათ ჯაშუშობითა, ტერორისტული მუშაობა ეწარმოებინათ კომპარტიებში. შვეიცარიაში მაშინ იყო ოსს-ის (სტრატეგიულ სამსახურთა ბიუროს ამერიკის სადაზვერვო ორგანიზაცია. რედ.) ევროპის ცენტრი. მას ხელმძღვანელობდა ალენ დალესი, რომელიც ოფიციალურად იყო თანამშრომელი ამერიკის მისიისა ბერნში.

1944 წელს, აჩვენებს შემდეგ ბრალდებული, უკვე ცხადი იყო, რომ აღმოსავლეთ ევროპის ნაწილს საბჭოთა არმია გათავისუფლებდა. მაშინ დალესს ამოცანად დაუსახეს შეექმნა დიდი ჯაშუშური ქსელი აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყნებში. ამ საკითხებში დალესს უთანლესი თანაშემწე იყო ნოელ ჰ. ფილდი, რომელიც ოფიციალურად იყო უსკ-ის (ინტერნაციონალური საკვლევ-მოძებნელი კომისია. რედ.) წარმომადგენელი ევროპაში. პოლიტემიგრანტებისათვის მატერიალური დახმარების გაწევით იგი მათ იბირებდა „ჯაშუშური მუშაობისათვის. ამ მუშაობაში მას ეხმარებოდნენ აგრეთვე მიშა ლომპარი — ამერიკელი მზვერავი, რომელიც შემდეგ იუგოსლავიის კონსული გახდა შვეიცარიაში, და ლატინოვიჩი, რომელიც შემდეგ გახდა იუგოსლავიის კონსული მარსელში.

— მე, — ამბობს ბრალდებული, — ვხელმძღვანელობდი უნგრელ პოლიტემიგრანტთა ჯგუფს, რომელიც შედგებოდა პოლიტიკურად მერყევი სტუდენტებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან. მე მათ ვზრდიდი შოვინისტური, ნაციონალისტური სულისკვეთებით. ლომპარს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩემთან და ფერენც ვაგნერთან, რომელიც იქვე იმყოფებოდა. ლომპარი გვამარაგებდა ლიტერატურით, რომელიც შეიცავდა ბრალდებულის (ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ყოფილი გენერალური მდივნის. რედ.) თეორიის პროპაგანდას. ჩვენ გავეცანით ამ თეორიას და მოვიწონეთ იგი. გადავწყვიტეთ, რომ უნგრეთი ამერიკის მხარეზე უნდა დაგვეყენებინა.

— ლომპარმა, — განაგრძობს ბრალდებული, — ჩვენი ჯგუფის

უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

(დასასრული)

მსმენია, რომ 1944 წელს ტიტოსა და დალესს შორის უკვე იყო ფარული კავშირი და წარმოებდა მოლაპარაკება ომისშემდგომი პერიოდისათვის საქმიანობის კოორდინაციის შესახებ, რის მიზანი იყო მოწყობა ტიტოს ძირგამომთხრელი ჯგუფისა, რომელიც სახსოვა კავშირის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ეს კარგად ვიცი მიშა ლომპართან საუბრიდან.

სენნი უპასუხებს სასამართლოს თავმჯდომარეს კითხვაზე და ამბობს, რომ მისი ტროცკისტული ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც მაშინ შეეიცარიაში იმყოფებოდა, იყვნენ ფერენც ვაგი, ანდრაშ კალმანი, დიერდ დემეტრი, დიულა კუტი, იანოშ დობო, ივანე ფელდი, პეტერ ბალაბანი, დიერდ შომლო.

1944 წლის ნოემბერში,—განაგრძობს ბრალდებული, — დალესმა მითითება მოგვცა დაბრუნებულიყავით უნგრეთში. ჩემთან ერთად წამოვიდნენ ვაგი, დემეტრი, კუტი, კალმანი, დობო. დანარჩენები შეეიცარიაში დარჩნენ. მათ ხელმძღვანელობდა ფელდი. ჩვენი წასვლის წინ დალესმა განაცხადა, რომ ჩვენს გამგზავრებას მოაწყობდნენ მიშა ლომპარი და ნოელ ჰ. ფილდი. ჩვენ მივიღეთ იუგოსლავიელ ოფიცრისაყალბი დოკუმენტები. გარდა ამისა, ჩვენ გადმოგვცეს საიდუმლო წერილები ოზნა-ს (იუგოსლავიის პოლიტიკური პოლიციის) სახელზე. ამ წერილებში განმარტებული იყო, რომ ჩვენ ამერიკის დაზვერვის მუშაკები ვართ და დამტკიცება უნდა გაგვეწიოს. ნოელ ჰ. ფილდმა გადმოგვცა 4 ათასი შვეიცარული ფრანკი და მოაწყო ჩვენი გადაგზავნა საფრანგეთში შვეიცარიის საზღვრით. ჩვენ გავემგზავრეთ მარსელში ლატინოვიჩთან, რომელმაც აგრეთვე მოგვცა ახალი დოკუმენტები და წერილი იუგოსლავიის ბარის სამხედრო მისიის სახელზე, აგრეთვე დაგვაკავშირა ამერიკის სამხედრო ხელისუფლებთან, რომლებმაც გადმოგვცეს სამხედრო თვითმფრინავი. ამ თვითმფრინავით ბელგრადს ჩავედით. ლატინოვიჩმა გვითხრა — დალესისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ უნდა მოელაპარაკოთ ბელგრადში, იუგოსლავიის პოლიტიკურ პოლიციაშიო.

— ბელგრადში, — განაგრძობს სენნი, — მაორმა კოვაჩევიჩმა დამაკავშირა იუგოსლავიის პოლიტიკური პოლიციის მაორ ნიკოლოს კალაფატიჩთან, რომელმაც მითითება მომცა უნგრეთში ჩასვლისთანავე მომესპო ყალბი დოკუმენტები. მან მოაწყო ჩვენი ჯგუფის გადაყვანა საზღვარზე. ჩვენ მოგვცეს იუგოსლავიის პოლიტიკური პოლიციის ავტომანქანა და პოლიტიკური პოლიციის ოფიცრის თანხლებით ჩაგვიყვანეს სეგედში, სადაც დაუყოვნებლივ მოვსპეთ ჩვენი ყალბი დოკუმენტები.

სენნი უპასუხებს სასამართლოს თავმჯდომარის კითხვაზე და აჩვენებს, რომ ამერიკისა და იუგოსლავიის ყველა ოფიციალურმა მოღვაწემ, რომლებსაც იგი შეხვდა, როცა უნგრეთს მიდიოდა, კარგად იცოდა, რომ იგი ამერიკის ჯაშუშია, და სავსებით ცხადი იყო, რომ ყველა ისინიც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ამერიკის დაზვერვასთან. ჩემთვის, ამბობს ბრალდებული, ხშირად ძნელი გასარკვევი იყო, სად თავდებენდა ამერიკის დაზვერვა და სად იწყებოდა იუგოსლავიის დაზვერვა.

—დალესმა, — აჩვენებს სენნი, — მითითება მოგვცა შეგვეღწია კომპარტიის რიგებში, შეძლებისამებრ დაგვკავებინა ყველაზე მაღალი პოსტები, გამოგვეყენებინა ეს პოსტები პროამერიკული პროპაგანდისათვის, ჩვენს მხარეზე გადმოგვებრიბინა რაც შეიძლება მეტი ადამიანები, რომლებსაც თვალსაჩინო პოსტები ეკავათ. გარდა ამისა, ჩვენ რეგულარულად უნდა მოგვეწოდებინა ინფორმაცია ამერიკის დაზვერვისათვის. ამისათვის დასახული იყო სამი გზა. პირველი და ძირითადი გზა იყო — იუგოსლავიის მეშვეობით: ციცმილი-კალაფატიჩი-ლატინოვიჩი-ლომპარი-დალესი. 1945-1946 წლებში მე ამ გზით ვსარგებლობდი. მეორე გზა იყო ჩემ მიერ ინფორმაციის გაგზავნა შვეიცარიაში ივან ფელდისათვის, რომელიც მას გადასცემდა ნოელ ჰ. ფილდს, ხოლო ეს უკანასკნელი — დალესს. მესამე გზა იყო წერილობით შეტყობინება შვეიცარიაში „პეტერის“ მიერ „ვაგნერისათვის“. ბუდაპეშტში ციცმილთან მუდმივი კავშირი მქონდა ანდრაშ კალმანის მეშვეობით.

უპასუხებს რა სასამართლოს თავმჯდომარის კითხვაზე, ბრალდებული დაწვრილებით ლაპარაკობს ძირგამომთხრელ და ჯაშუშურ საქმიანობაზე, რასაც იგი უნგრეთში ეწეოდა. მე მოვახერხე, ამბობს იგი, დამეკავებინა თვალსაჩინო პარტიული პოსტი, რომელიც გამოვიყენე ომისათვის, რომ ჩემი ჯგუფის სხვა წევრები მომეწყო მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ბოლოს და ბოლოს, ფერენც ვაგი მოვაწყე პრემიერ-მინისტრთან არსებულ პრესის გაყოფილებაში, ანდრაშ კალმანი — სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, დიერდ დემეტერი — საქციო საზოგადოება „დანუბიას“ დირექტორის პოსტზე, პეტერ ბალაბანი — რადიოკომიტეტში, ივანე ფელდი — ხელმძღვანელ პოსტზე საქციო საზოგადოება „მასოვოლში“ და სხვ.

— ყოველ ორ თვეში, ამბობს შემდეგ სენნი,— ჩვენ ვმართავდით თათბირებს, რომლებზეც ჩვენი ჯგუფის წევრები იღებდნენ მითითებებს ცდილიყვნენ გარეგნულად აქტიური მუშაობით მიეღწიათ სამსახურში დაწინაურებისათვის და მოეპოვებინათ მათ გარშემო მყოფთა სიმპათიები. ამავე დროს საჭირო იყო ფრთხილად ეწარმოებინათ კომპარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა.

ბრალდებული აჩვენებს, რომ, სამივე გზის გამოყენებით, იგი და ფერენც ვაგი რეგულარულად უგზავნიდნენ დალესს საიდუმლო ინფორმაციას.

1946 წლის მაისში, ამბობს ბრალდებული, ივანე ფელდმ შვეიცარიიდან ჩამოიტანა წერილი, რომელშიც დასახელებული იყვნენ ამერიკის ჯაშუშები — ბელა სასი, დიერდ ადამი, ივანე მატე. უფრო გვიან, რაიკის დავალებით, ბელა სასი ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოვაწყე. ფელდისთან ამ შეხვედრის დროს მე მას მითითება მივეცი მოეწყო უნგრეთში ჩვენი ჯგუფის იმ ნაწილის გადაყვანა, რომელიც შვეიცარიაში იყო დარჩენილი.

ერთხელ, ამბობს სენნი, მე შიკრიკად გამოვიყენე ილონა კოისა, რომელიც 1947 წლის საფრანგეთიდან უნგრეთს დაბრუნდა და უნდა შეექმნა აქ უნიტარული ეკლესიის საქველმოქმედო კომისიის წარმომადგენლობა, რომლის საფარქვეშაც იქნებოდა ამერიკის დაზვერვა. ჩემი დახმარებით მან ეს ამოცანა შეასრულა.

უპასუხებს რა სასამართლოს თავმჯდომარის კითხვებზე, ბრალდებული შემდეგ აჩვენებს, რომ 1946 წელს, განსაკუთრებული შიკრიკის ხელით მან მიიღო დალესის მითითება დაემყარებინა კავშირი ლასლო რაიკთან. 1944 წელს, ამბობს სენნი, დალესმა ჩემთან საუბრის დროს მკითხა, ვიცნობდი თუ არა რაიკს, რომელიც ესპანეთში ფაშისტების სახელს ატარებდა. დალესმა მიამბო, რომ იგი ლასლო რაიკს ჯერ კიდევ საფრანგეთში ხვდებოდა და რომ მე, შესაძლოა, ჩემს მუშაობაში კიდევ შეეხვედ ამ კაცს.

თავმჯდომარე: ვინ იყო ეს განსაკუთრებული შიკრიკი, რომლის ხელითაც თქვენ მიიღეთ მითითება დაგემყარებინათ კავშირი რაიკთან?

სენნი: ლასლო ბარტოკი, რომელიც უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. ისიც ამერიკელი მზვერავი იყო.

ბრალდებული აჩვენებს, რომ როცა მან კავშირი დამყარა რაიკთან, ამ უკანასკნელმა განუცხადა მას, რომ იცნობს იმ ადამიანის საქმიანობას, რომელიც „პეტერის“ მეტსახელს ატარებს, და საერთოდ ბევრი რამ იცის ამის შესახებ. პირველი შეხვედრიდან დაწყებული, ამბობს სენნი, ჩვენ რაიკთან მუდმივი კავშირი გვქონდა 1949 წლის მისამდე, ე. ი. ჩემი დაპატიმრების მომენტამდე. მისგან ვიღებდი მითითებებს და იგი ხელმძღვანელობდა ჩემს საქმიანობას.

შემდეგ ბრალდებული აჩვენებს, რომ უნგრეთში შეიარაღებული გადატრიალებისათვის მზადება შეთქმულებმა ძალიან დიდი ხნის წინათ დაიწყეს. ჩვენი პრაქტიკა, ამბობს იგი, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების შესაბამისად იცვლებოდა. ფერენც ნადის დროს ჩვენ ვცდილობდით მოგვეშორებინა მთავრობიდან კომპარტიის წარმომადგენლები. 1947-1948 წლებში მდგომარეობა შეიცვალა — დემოკრატიის ძალები განმტკიცდა, მთავრობიდან განდევნილ იქნენ პროამერიკული ელემენტები, განმტკიცდა მუშათა კლასის ერთიანობა. ამის შემდეგ ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ ძალადატანებითს გადატრიალებაზე. ამ გადატრიალების განხორციელება ჩვენი ძალებით არ შეგვეძლო; ასეთი იყო ჩემი და რაიკის აზრი.

— რაიმა, — ამბობს ბრალდებული, — მიამბო იუგოსლავიაში თავისი გამგზავრების შესახებ. 1948 წლის იანვარში მან კონკრეტულად გამაცნო გადატრიალების გეგმა და გადმომცა რანკოვიჩისან თავისი იმ სუბარის შინაარსი, რომელიც სადგურ კელებიაში მოხდა. ამ პერიოდში ახალი დიდი ცვლილება მოხდა ჩვენს ქვეყანაში. შეიცვალა მდგომარეობა თვით იუგოსლავიაშიც. კომპარტიების ინფორმბიუროს რეზოლუციამ ამხილა ტიტო და მის გარშემო მყოფი პირები. შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრისას რაიმა მითხრა, შესაძლოა იმედი გვქონდეს, რომ იუგოსლავია შემდეგშიც აქტიურად დაგვეხმაროს. მაგრამ იუგოსლავიის ხელმძღვანელებთან კავშირი გაძნელდა. საჭირო იყო მაქსიმალური სიფრთხილე.

— 1948 წელს, განაგრძობს ბრალდებული, — როცა რაიკი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, მან დაწვრილებით მიამბო ტიტოს გეგმის შესახებ. ეს გეგმა ითვალისწინებდა იმას, რომ იუგოსლავიის მეთაურობით შექმნილიყო ბალკანეთის ქვეყნების ბლოკი, რომელიც მიმართული იქნებოდა სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამ გეგმის მიზანი, ისევე როგორც მთელი ჩვენი საქმიანობის მიზანი, ის იყო, რომ დემოკრატიული მთავრობები დაგვემხო და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეჟიმი შეგვექმნა. რაიკს უშუალო კავშირი ჰქონდა ტიტოსთან და რანკოვიჩთან და მათი მეშვეობით ამერიკის დაზვერვასთან. მის ხელში იყო შეთქმულების მთელი ძაფები.

— მიმდინარე წლის აპრილის დამლევს თუ მაისის დამდეგს, — ამბობს ბრალდებული,—მე რაიკისაგან მითითება მივიღე მომემზადებინა იმ პარტიული კონფერენციის მოწვევა, რომელიც ჩვენ განზრახული გვქონდა მოგვეწყო გადატრიალების შემდეგ. რაიკმა თქვა, სამე ისე უნდა მოეწყოს, რომ ამ კონფერენციაზე მხოლოდ ისეთი ადამიანები მოხვდნენ, რომლებიც გადატრიალების ლეგალიზაციას დათანხმდებიანო.

უპასუხებს რა სასამართლოს თავმჯდომარის კითხვაზე, ბრალდებული აჩვენებს, მე ვიცოდი, რომ მზადდებოდა რაკოშის, ფარკაშისა და გერეს მოკვლა და რომ ამაშიც იუგოსლავები დახმარებას გაგიწევდნენო.

ბრალდებული ამბობს, რომ რაიკს მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტიტოსთან და რანკოვიჩთან და იღებდა მათგან მითითებებს. რაიკმა მითხრა, აჩვენებს სენნი, რომ შეიარაღებული გადატრიალების გეგმა მან რანკოვიჩთან განიხილა და რომ ტიტო იცნობს ამ გეგმას. ამასთან რაიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადატრიალების ვადა დამოკიდებულია რანკოვიჩისა და ამერიკის დაზვერვაზე. ამ ვადის დაწესება დაკავშირებული აგრეთვე საერთაშორისო ვითარებასთან. მე ვიცოდი, რომ შეიარაღებული გადატრიალების გეგმის ავტორები არიან ამერიკის დაზვერვა და იუგოსლავიის ახლანდელი ხელმძღვანელი პოლიტიკოსები — ტიტო, რანკოვიჩი და სხვები.

სენნი აჩვენებს, რომ უნგრეთში შეიარაღებული გადატრიალების გეგმა მხოლოდ ნაწილი იყო ამერიკა-იუგოსლავიის საერთო გეგმისა, რომელიც ითვალისწინებდა იუგოსლავიის მეთაურობით ბალკანეთის ქვეყნების ბლოკის შექმნას.

შემდეგ ბრალდებული აცხადებს, რომ რაიკთან საუბრებიდან იცოდა იმ მოლაპარაკების შინაარსი, რაც არაერთხელ წარმოებდა რანკოვიჩსა და რაიკს შორის. მე ვიცი, ამბობს იგი, რომ რაიკი რანკოვიჩს სხვა თემებზეც ესაუბრებოდა, კერძოდ, მე ვიცი, რომ რანკოვიჩმა უამბო რაიკს ბელგრადში საბჭოთა დიპლომატების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციების შესახებ.

თავმჯდომარე: რა ძალებს ფიქრობდით დაყრდნობოდით შეიარაღებული გადატრიალების მოხდენის დროს?

სენნი: ცალკეულ სამხედრო ქვეგანაყოფებს, რომელთა დახმარებასაც უზრუნველყოფდა პალფი, აგრეთვე პოლიციის ზოგიერთ სპეციალურ რაზმებს. რაიკი მეუბნებოდა, რომ იგი ყოველნაირად ცდილობდა უზრუნველეყო თავისი გავლენა პოლიციაზე და უკვე გაგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში სამუშაოდ თავისი დამქაშები — ენდრე სებენი, დიული ოსკო, შანდორ ჩერესნიში და სხვები. დამოუკიდებლად და ჩემი ხელშეწყობით მან მნიშვნელოვან პოსტებზე მოაწყო ლასლო მარშალი, ლასლო მატაში, იანოშ ბეკი, კოროი რატი, კალინი და სხვები. თავისი გავლენის გასაძლიერებლად რაიმა დაშალა პატრიარგანიზაცია პოლიციაში. გარდა ამისა, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ მხარს დაგვიჭერდნენ უნგრეთის ნაციონალისტური, შოვინისტური და რეაქციული ელემენტები. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა მოგვემხრო სახალხო კოლეჯების ახალგაზრდობა, რომლის შორისაც ჩვენ ვცდილობდით რაიკის პოპულარიზაციას. რაიმა საზღვარგარეთიდან მიიღო მითითება, რომ სოფლად დაყრდნობოდა კულაკურ ელემენტებს, ხოლო ქალაქებში ნაციონალისტურ და შოვინისტურ ელემენტებს.

თავმჯდომარე: რა დახმარებას შეგპირდნენ საზღვარგარეთიდან?

სენნი: რაიკი გვეუბნებოდა, რომ მოგვაწვდიდნენ იარაღს, აგრეთვე დახმარებას გაგვიწევდნენ იუგოსლავიის სამხედრო ნაწილებით, რომელსაც უნგრულ ფორმას ჩააცვამდნენ. დახმარება აღგვითქვეს აგრეთვე ტერორისტული აქტების განხორციელებაში. ჩვენ დასახმარებლად ამირებდნენ აგრეთვე პროვოკაციით ინციდენტები უნგრეთ-იუგოსლავიის საზღვარზე. და იუგოსლავები ასეთ ინციდენტებს უკვე იწვევდნენ ამ წლის პირველი თვეებიდანვე. შეიარაღებული გადატრიალების განხორციელების შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატები უნგრეთს გაუწევდნენ ეკონომიურ და ფინანსურ დახმარებას და მას მიიღებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგებში.

სენნი უპასუხებს სასამართლოს თავმჯდომარის კითხვებზე და უამბობს სასამართლოს თავისი უშუალო როლის შესახებ შეიარაღებული გადატრიალების მზადებაში. იგი ამბობს, რომ საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციის გამოქვეყნების შემდეგ ავრცელებდა ტიტოს დასაცავად მიმართულ პროპაგანდისტულ მასალას, რომელსაც იგი იღებდა ანდრაშ სალაისაგან. ბრალდებული აღიარებს, რომ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა მან გამოიყენა ამისათვის, რომ ყველა ოდნავ მნიშვნელოვან ჰოსტზე დაეწინაა თავისი კაცები, ან თუნდაც ისეთები, რომელებსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდნენ მომავალში. სენნი ამბობს, რომ უკანასკნელ პერიოდში თავის ჯაშუშურ ცნობებს იგი ამერიკელებს აწვდიდა რაიკის საშუალებით.

— გადატრიალების შემდეგ, — აჩვენებს ბრალდებული, — ჩვენ უნდა შეგვეძლო ახალი მთავრობა. უნგრეთის პოლიტიკური წყობილება გარდაქმნებოდა იუგოსლავიის მაგალითისამებრ. კომუნისტურ პარტიას ჩვენ გავრიყავდით უკანა პლანზე, წინ წამოვწევდით სახალხო ფრონტს, რომელსაც ავავსებდით კულაკობით და წვრილბურჟუაზიული ელემენტებით. ეკონომიურ დარგში ჩვენ თანდათან არარად ვაქცევდით უნგრეთის დემოკრატიის მონაპოვრებს. ფაბრიკა-ქარხნებს, შახტებსა და ნავაკებს დაეუბრუნებდით ძველ მფლობელებს, გავაუქმებდით მიწის რეფორმას, მიწას კვლავ მემამულეებს დავუბრუნებდით.

საგარეო პოლიტიკის საკითხებშიც, ამბობს სენნი, აგრეთვე ფრთხილად ვიმოქმედებდით, ვეცდებოდით თანდათან მოგვეწყვიტა უნგრეთი მშვიდობის ბანაკისაგან და გადაგვეყვანა ამერიკის შეერთებული შტატების ბანაკში. ჩვენ იძულებული ვიქნებოდით ყოველივე ეს ფრთხილად და თანდათან გაგვაკეთებინა, რადგან კარგად ვხედავდით უნგრელი ხალხის მასების დიდ სიმპათიას საბჭოთა კავშირისადმი. ამიტომ, კერძოდ, ფინანსური დახმარებაც კი ამერიკის მხრივ თავდაპირველად განხორციელდებოდა არა ამერიკად, რადგან ეს არ მოიწონებოდათ უნგრეთის მშრომელ მასებს. ვიმეორებ, საქმე ეხებოდა უნგრეთის თანდათან გადასვლას ამერიკის შეერთებული შტატების მხარეზე. და ეს „უნგრული გეგმა“ წარმოადგენდა მთელი იმ გეგმის მხოლოდ ნაწილს, რომ შექმნილიყო ბალკანეთის ქვეყნების ბლოკი, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს იყო იმის მიზეზიც, რომ შეიარაღებული აჯანყების შემდეგ ჩვენ უნდა გვემოქმედნა ძალიან ფრთხილად, რათა არ გამოგვემეჭლავნებინა მთელი გეგმის საიდუმლოებანი.

თავმჯდომარე: ვინ შეეიდოდა მთავრობის შემადგენლობაში?

სენნი: შეთქმულების მონაწილე პირნი და ჩვენი პოლიტიკის თანამგრძნობნი. პრემიერ-მინისტრი იქნებოდა რაიკი.

თავმჯდომარე ბრალდებულს აჩვენებს ალენ დალესის, ნოელ ჰ. ფილდისა და რანკოვიჩის ფოტოსურათებს. ბრალდებული სენნი უცხად ცნობილობს დალესსა და ფილდს. ბრალდებულმა რაიკმა, რომელსაც აგრეთვე აჩვენეს ფოტოსურათი, იცნო რანკოვიჩი.

თავმჯდომარე: იღებდა თუ არა რაიკი გასამრჯელოს ჯაშუშური საქმიანობისათვის?

სენნი: მე და ჩემმა ჯგუფმა ნოელ ჰ. ფილდისაგან მივიღეთ 4 ათასი შვეიცარული ფრანკი. გარდა ამისა, ვაგი და დემეტერი 1943 წელს რეგულარულად იღებდნენ მისგან ფულს სხვადასხვა რაოდენობით. ორჯერ მივიღე ფული მისგან მეც. ეხმარებოდნენ თუ არა ამერიკელები მატერიალურად რაიკს, არ ვიცი.

ამის შემდეგ ბრალდებული სთხოვს სასამართლოს ნება დართოს გააკეთოს განცხადება. ნებართვის შემდეგ იგი ამბობს, რომ „სწუხს“ თავისი ჯაშუშური საქმიანობის გამო და ამიტომ ყველაფერს გულახდილად ლაპარაკობს.

— მე ვამბობ ამას, — აცხადებს ბრალდებული, — რადგან ვიცი, რომ ზოგიერთი ქვეყნის საზოგადოებრივი წრეები და, განსაკუთრებით, უცხოელი ჟურნალისტები ასეთი პროცესების დროს ხშირად წერენ, ასეთ აღიარებას ბრალდებული ძალით ან რაიმე განსაკუთრებული წამლის გავლენით აკეთებსო. მე პროფესიით ექიმი-ნევროპათოლოგი ვარ და უწინაც ვიცოდი ასეთი მტკიცების უაზრობა. ახლა კი ჩემი გამოცდილებით ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ასეთი მტკიცება სიცრუეა, და კიდევ ვაცხადებ, რომ ჩემი გულახდილი აღიარება ჩემი მონანიების და იმ გადაწყვეტილების შედეგია, რომ ვეცადო ნაწილობრივ მაინც გამოვასწორო ჩემი მძიმე დანაშაულობანი.

შემდეგ ბრალდებულს რამდენიმე კითხვას აძლევს პროკურორი.

პროკურორი: თქვენი აზრით, რა შედეგი მოჰყვებოდა იუგოსლავიიდან და ავსტრიიდან ჯარის ნაწილების შემოჭრას უნგრეთში?

სენნი: რასაკვირველია, სახალხო დემოკრატიის ყველა მიწოვნელი ლიკვიდაცია და საშინელი ტერორი.

პროკურორი: იყავით თუ არა სიონისტური ორგანიზაციის რიგებში?

სენნი: ჩემი ჯგუფის წევრები იყვნენ ამ ორგანიზაციაში და ამავე დროს მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ამერიკის დაზვერვასთან.

პროკურორი: რა იცით სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში ამერიკის ჯაშუშების საქმიანობის შესახებ?

სენნი: მე ზუსტად ვიცი, რომ ასეთივე ჯაშუშური ქსელი შექმნეს ამერიკელებმა ჩეხოსლოვაკიაში. მას იუგოსლავიის მხრიდან ხელმძღვანელობდა პავლიკი, რომელსაც მე ვხვდებოდი. პავლიკს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ლონდონში მყოფ ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან, კერძოდ, ემიგ. კოპეკისთან. რამდენადაც ვიცი, ამერიკელებს ასეთივე ჯაშუშური ქსელი ჰქონდათ გერმანიაში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში.

ამით დამთავრდა ბრალდებულ სენნის დაკითხვა.

ნიუ-იორკს ჩავიდა საბჭოთა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-4 სესიაზე

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). 19 სექტემბერს 15 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით ნიუ-იორკს თვითმფრინავით ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-4 სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ვიშინსკის თან ახლავან გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის წევრები. გენერალური ასამბლეის მე-4 სესია 20 სექტემბერს გაიხსნება ფლაშინგ-მედოუსში.

ა. ი. ვიშინსკის განცხადება ნიუ-იორკს ჩასვლის შემდეგ

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). ა. ი. ვიშინსკიმ ნიუ-იორკის აეროდრომზე ჩასვლისას შემდეგი განუცხადა კორესპონდენტებს:

„ჩამოვედი რა ამერიკაში, უწინარეს ყოვლისა მსურს თქვენი მეშვეობით სალამი ვუძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს.

საბჭოთა დელეგაცია გენერალური ასამბლეის სესიაზე ჩამოვიდა მტკიცე სურვილით — თავისი წვლილი შეიტანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცების საქმეში. ამასთან დელეგაცია დარწმუნებულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ი. ბ. სტალინმა თქვა, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების სერიოზული ინსტრუმენტია.

ეჭვი არ არის, რომ გენერალური ასამბლეა შეძლებს წარმატებით გადაწყვიტოს მის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, თუ გაერთიანებული ერების წევრები გამოიჩენენ გულწრფელ მისწრაფებას ითანაშრომლონ ერთმანეთთან და იმოქმედებენ ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად“.

მარსელ კაშენის დაბადების 80 წლისთავი

პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესი). მარსელ კაშენის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით „ლუმანიტე დიმანში“ აქვეყნებს ეაკ დიუკლოს სტატიას სათაურით „შესანიშნავი წლისთავი“. კერძოდ ეაკ დიუკლო წერს: „მშრომელი დემოკრატები დღესასწაულობენ მარსელ კაშენის დაბადების მე-80 წლისთავს, კაშენისა, რომელიც სიცოცხლეს მუშათა კლასის, ხალხისა და სოციალიზმის საქმის სამსახურს ანმარს.

საფრანგეთის მთელი მუშათა კლასი, მთელი ფრანგი ხალხი მარსელ კაშენის სახით მიესალმება მებრძოლს, სოციალიზმის დიდი საქმის ბოლომდე ერთგულს, ლენინ-სტალინის დიდი ქვეყნის ერთგულ მეგობარსა და მტკიცე დამცველს, ნიჭიერ ჟურნალისტს, მშვიდობისა და თანასწორუფლებისათვის მებრძოლს, რომელიც 80 წლის ასაკში გვაძლევს ურყევი რწმენის, ჭეშმარიტი ენთუზიაზმისა და არაჩვეულებრივი შრომის მოყვარეობის შესანიშნავ ნიმუშს, ვის მაგალითსაც უნდა მიბაძოს მთელმა ჩვენმა ხალხმა“.

გაზეთმა გამოაქვეყნა აგრეთვე მარსელ კაშენის მოწოდება ფრანგი ხალხისადმი — ხმა მისცეს მშვიდობას. ამ მოწოდებაში კაშენი ამბობს:

„ამკამად არ არსებობს უფრო საჭირო, უფრო გადაუდებელი, უფრო აუცილებელი მოვალეობა! ფრანგმა ხალხმა საჯაროდ უნდა გააფრთხილოს მთავრობა, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას მშვიდობა!“.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობა ბერლინის დასავლეთ სექტორებში

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება, რომ ეკონომიური მდგომარეობა ბერლინის ამერიკულ, ინგლისურ და ფრანგულ სექტორებში კვლავ მკვეთრად უარესდება, მიუხედავად იმისა, რომ ამკამად იგი უმისოდაც „უიმედოა“. კორესპონდენტის სიტყვით, შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფალთა ოფიციალური წარმომადგენლები სერიოზულად არიან შეშფოთებულნი, რომ ბერლინის მათს სექტორებში შეიძლება უახლოეს დროში დაიწყოს ხალხის მეღელვარება და გამოსვლა დასავლეთი ბერლინის საქალაქო ხელისუფალთა წინააღმდეგ.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, ოფიციალური ცნობებითაც კი, ბერლინის დასავლეთ სექტორებში უმუშევართა რაოდენობამ 230.000 კაცს მიაღწია, რაც დასავლეთი ბერლინის მთელი მოზრდილი მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენს. უმუშევართა რიცხვი კვლავ მკვეთრად მატულობს. ოფიციალური ცნობებითაც კი უმუშევართა არმია ყოველ კვირაში 5 ათასი კაცით მატულობს.

დაახლოებითი გამოანგარიშებით, დასავლეთ ბერლინის საქალაქო ხელისუფალთა ბიუჯეტის დეფიციტმა უკვე მიაღწია 300 მილიონ მარკას.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ირანში

ინგლის-ამერიკის ფინანსდაფინანსებული ინგლისელ-ამერიკელ ბანკირთა ინტერესები ირანში

თეირანი, 19 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ბახტარი“ აღნიშნავს აქტივობას, რომელიც განვითარდა თეირანში ამას წინათ ჩამოსულმა ახლო აღმოსავლეთში ინგლისის სახელმწიფო ძალების მთავარსარდალმა გენერალმა კროკერმა.

გენერალი კროკერი შეხვდა ირანის არმიის უმაღლეს სარდლობას, აგრეთვე ამერიკის სამხედრო მრჩეველებს ირანში და ზოგიერთი საელჩოს სამხედრო ატაშეებს თეირანში.

ამ საუბრებს, აღნიშნავს გაზეთი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც გენერალი კროკერი, „ალბათ, წამოაყენებს წინადადებას, რომელიც შეეხება ირანის არმიის ბრძოლისუნარიანობის გადიდებას“.

ამრიგად, თეირანში კროკერის ჩამოსვლა ირანში ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ერთ-ერთი გამოვლინებაა. ირანის გაზეთი წინაადმდეგობათა ამ ბრძოლას გადმოგვცემს მლექნელური კილოთი:

„თეირანის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეში გავრცელებული ხმების მიხედვით, ირანის სამხედრო მინისტრი ახმედის ლონდონს გამგზავრება დაკავშირებულია თეირანში გენერალ კროკერის ჩამოსვლასთან. ხედავს რა შეერთებული შტატების განზრახვას — სამხედრო დახმარება გაუწიოს ირანს, ინგლისის მთავრობას სურს გამოიყენოს ავრეთვე ირანისათვის ინგლისის სამხედრო დახმარების გაწევის შესაძლებლობა. ფიქრობენ, რომ ირანის სამხედრო მინისტრი ახმედი ინგლისს გაემგზავრა, რათა გამოარკვიოს თუ რა პირობებით მიიღებენ ინგლისის სამხედრო ქარხნები დაკვეთებს ირანის არმიისათვის“.

თეირანი, 19 სექტემბერი. (საკდესი). შარის გაზეთი „პარსი“ „ყურადღებას აქცევს ამერიკის გაზეთ „სტარის“ ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ არაბული ქვეყნების მმართველები, რომლებიც ამას წინათ ეწვივნენ თეირანს, დაეკონებით მოითხოვდნენ ირანსა და ინგლისს შორის სპეციალური სამხედრო ხელშეკრულების დადებას. ამასთან ისინი აღნიშნავდნენ, რომ ირანი „ოფიციალურად და პრაქტიკულად უნდა იქნას შეყვანილი ბრიტანეთის იმპერიის სამხედრო ზონაში“.

გაზეთ „პარსს“ მოჰყავს ამერიკული გაზეთის „სტარის“ ეს ცნობა და დასძენს, „შესაძლოა, ირანის სამხედრო მინისტრი ახმედი ლონდონს ამ საკითხის განხილვის მიზნით გაემგზავრაო“.

3-პროცენტიანი სესხის ვალდებულების ბრკალების წინ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამტკიცა სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მე-11 ძირითადი და მე-2 დამატებითი ტირაჟების ჩამტარებელი სატირაჟო კომისიის შემადგენლობა. ტირაჟი შედგება თბილისში მიმდინარე წლის 30 სექტემბერს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. კალატოზიშვილი, მოადგილეებად სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. რომელაშვილი, პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ნ. ჩარკვიანი.

კომისიის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დრამატურგი შ. დადიანი, თბილისის საორთოქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი სოცი